# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 1 ოქტომბერი, 2008 წელი.

№ 184 (6042)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

## 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება, რომელიც რუსეთმა ფეხებზე დაიკიდა



5




## რატომ „დაინდეს" სამეგრელო და ზუგდიდი რუსებმა?

3

## თუ მშვიდობა გვინდა, ომს ერთხელ და სამუდამოდ უნდა დავემშვიდობოთ

2



**დმიტრი ვოლჩეკი:**

მე რომ თვალი მხოლოდ რუსული საინფორმაციო საშუალებებისთვის მედევნებინა, ვიფიქრებდი, რომ ფაშისტური სახელმწიფო საქართველო ამერიკის კოლონიაა, სადაც მთელი ოპოზიცია ციხეში ზის

6



## გირჩევთ, ამ მაღაზიებს არ გაეკაროთ

7

მომხმარებელს აბუჩად იგდებენ

## ეკონომიკური განუკითხაობის მარწუხებში



9

იმპერიული ამბიციები



11

## დევნილებს რეზერვაციის პირობებში ასახლებენ

ინფორმაცია

## ბუფერულ ზონებს დაატოვებინებენ

**შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა ევროკავშირის უმაღლეს კომისართან საგარეო და უსაფრთხოების საკითხებში ჰავიერ სოლანასთან შეხვედრის წინ კომენტარი გააკეთა.**

როგორც მერაბიშვილმა განაცხადა, მათ ერთობლივი გეგმები აქვთ და აქტიურად თანამშრომლობენ ევროკავშირთან.

მინისტრმა აღნიშნა, რუსეთს აიძულებენ, რომ მოკლე ვადებში დატოვონ ჯერ ე.წ. ბუფერული ზონები.

— დარწმუნებული ვარ, რომ რუსები მათ მიერ კონტროლირებად ტერიტორიებსაც მოგვიანებით დატოვებენ. საერთაშორისო ზეწოლას რუსები ვერ გაუძლებენ, — განაცხადა ვანო მერაბიშვილმა და დასძინა, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ კი რუსის ჯარი არ გავა, საქართველო მიიღებს ადეკვატურ ზომებს ამასთან დაკავშირებით.

სოლანას აეროპორტში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიაში პიტერ სემნები და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნინო კალანდაძე დახვდნენ.

## შიშის გარეშე უნდა იცხოვრონ



**რუსეთის მეზობლებს აქვთ უფლება იცხოვრონ შიშის გარეშე. ამის შესახებ აშშ-ს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა უკრაინის და ლიტვის პრეზიდენტებთან შეხვედრის ბოლოს განაცხადა, — იუწყება რადიო „ეხო მოსკვი“.**

როგორც ბუშმა აღნიშნა, შეხვედრის დიდი ნაწილი ყოფილი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შემავალი ამ ორი რესპუბლიკის რუსეთთან ურთიერთობებს შეეხო.

— ლიტვას მიეცა დახმარების პირობა ენერგორესურსების მიწოდების დივერსიფიკაციის შესახებ და აშშ-ში უვიზო მიმოსვლისათვის, — აღნიშნავს საინფორმაციო სამსახური.

კიევს კი ბუში დაეხმარება დემოკრატიული რეფორმების გატარებაში. ორი ქვეყნის ლიდერებმა ასევე უკრაინის ნატოსთან და ევროკავშირთან მიერთების პერსპექტივებიც განიხილეს.

## რუსეთის საელჩოს თანამშრომლები სამშობლოში ბრუნდებიან

**საქართველოში რუსეთის საელჩოს თანამშრომელთა ძირითადი ნაწილი მოსკოვში გუშინ დაბრუნდა. ამის შესახებ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციისა და პრესის დეპარტამენტში განაცხადეს.**

— ამ დროისთვის მიმდინარეობს მუშაობა თბილისში რუსეთის საკონსულოს შენარჩუნებასთან დაკავშირებით. აღნიშნული საკითხის გადაწყვეტამდე საქართველოს დედაქალაქში ჩვენი დიპლომატებისა და ტექნიკური პერსონალის ნაწილი რჩება, — აცხადებენ დეპარტამენტში.



რუსეთის საელჩომ საქართველოში მუშაობა ოფიციალურად 3 სექტემბერს შეწყვიტა.

**ინტერპრესნიუსი**

## გადაცმული პოლიციელები და აქტივისტები თავს დევნილებად ასაღებდნენ

**მოძრაობა „ერთიანი საქართველოსათვის“ გენერალური მდივანი ეკა ბესელია ხელისუფლების მხრიდან მორიგ პროვოკაციაზე საუბრობს.**

მისი თქმით, 27 სექტემბერს შსს-ს თანამშრომლებმა ათონელის ქუჩაზე მდებარე პარტიის ოფისში მიიყვანეს გადაცმული პირები, რომლებიც თავს დევნილებად ასაღებდნენ, სინამდვილეში კი ნაციონალური მოძრაობის აქტივისტები იყვნენ. ბესელიას განცხადებით, ისინი შენობაში შეჭრას ცდილობდნენ.

ბესელია საგანგაშოდ მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ ქვეყანაში შექმნილი უმძიმესი პოლიტიკური კრიზისის მიუხედავად, ხელისუფლებას სცალია პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ პროვოკაციები დაგეგმოს.

— თქვენთვის ცნობილია, რომ 2007 წლის 27 სექტემბრიდან 2008 წლის 16 აგვისტომდე, ათონელის №27-ში მდებარე შენობა სრულიად უკანონოდ დაკავებული იყო შსს-ს პოლიციის თანამშრომლების მიერ. 16 აგვისტოდან ჩვენ იძულებით გადაადგილებულ პირებს მივეცით შესაძლებლობა შემოსულიყვნენ ჩვენი პარტიის ოფისში, თუმცა იმავე ღამეს შსს-ს თანამშრომლებმა დევნილების სტატუსით მოიყვანეს გადაცმული თანამშრომლები და ნაციონალური მოძრაობის აქტივისტები. ისინი შენობის დაკავებას ცდილობდნენ. დევნილებმა ამოიცნეს რამდენიმე მათგანი და როგორც გაირკვა ისინი იყვნენ ერედვისა და ქურთის საკრებულოს თანამშრომლები, ასევე ადგილობრივი პოლიციის წარმომადგენლები. მათ მხოლოდ მას შემდეგ დატოვეს შენობა, რაც დევნილებმა ისინი მობილური ტელეფონის საშუალებით დააფიქსირეს, — განაცხადა საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე ბესელიამ.

მისივე თქმით, პარტიის ოფისში შემოჭრილ პირებს შენობის გარეთ 100-მდე პოლიციის თანამშრომელი დარაჯობდა, რომელთაც განზრახული ჰქონდათ პროვოკაციის განხორციელების შემთხვევაში შენობაში შეჭრა.

ბესელია ვარაუდობს, რომ ხელისუფლების ანგარიშსწორება პოლიტიკური ოპონენტების მიმართ ამით არ დასრულდება. იგი აღნიშნულ ინფორმაციას და შესაბამის ვიდეომასალას საერთაშორისო ორგანიზაციებსა და დიპლომატიურ კორპუსს გაავრცელებს.

**ჯი-ეიჩ-ენი**





ახალი კანონპროექტი

# თუ მშვიდობა გვინდა, ომს ერთხელ და სამუდამოდ უნდა დავემშვიდობოთ

**აგვისტოს მოვლენებმა ქვეყანაში ახალი კანონების შემოღების აუცილებლობა განაპირობა. საჭირო გახდა საქართველოში ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონის ამოქმედება. საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს იურიდიულ კომიტეტში უკვე მუშაობენ ამ კანონპროექტზე. პარალელურად კი, პრეზიდენტის ინიციატივით, მსგავსი პროექტების მომზადება არასამთავრობო სექტორში მომუშავე იურისტებსაც შესთავაზეს. პრეზიდენტის ინიციატივას ასოციაცია „კანონი ხალხისთვის“ თავმჯდომარე — ზაქარია ქუცნაშვილი გამოეხმაურა. მას უკვე მზად აქვს კანონპროექტი „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“, რომლის საჯარო წარდგინება და განხილვაც ომბუდსმენის ოფისში გაიმართა.**



ზაქარია ქუცნაშვილის კანონპროექტის მიხედვით, საკმარისი არ არის მხოლოდ კონფლიქტამდე არსებული სიტუაციის აღდგენა, საქართველოს ცალკეული ტერიტორიების ოკუპირებულად გამოცხადება და მათზე აკრძალვებისა და შეზღუდვების დაწესება. კანონპროექტს „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ უფრო ფართო მიზანი აქვს და მან ხელი უნდა შეუწყოს: საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით აღიარებული და სახელმწიფოთა მსოფლიო თანამეგობრობის და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით დადასტურებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის აღდგენას; საქართველოს სახელმწიფოს ამ კანონით განსაზღვრული ოკუპირებული ტერიტორიების განთავისუფლებას ოკუპანტებისაგან; კონფლიქტის მოგვარებაში მთელი საზოგადოების ჩართვას და ამ პროცესის მშვიდობიანად წარმართვას.

ზაქარია ქუცნაშვილის კანონპროექტში მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა ტერმინთა განმარტებას და სტატუსის დადგენას. „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ კანონში კონფლიქტის ზონაში მყოფი მოსახლეობა ოთხ კატეგორიად არის დაყოფილი და მათ ასეთი სტატუსი აქვთ: ოკუპანტები, სეპარატისტები, უკანონო შეიარაღებული ფორმირებები და მშვიდობიანი მოსახლეობა. სტატუსის შემოღება, მათი განმარტება და გამიჯვნა კანონპროექტის ავტორს აუცილებლად მიაჩნია კონფლიქტის საბოლოოდ მოგვარებისათვის.

„შემოთავაზებული პროექტით, ოკუპანტის სტატუსი განსხვავდება სეპარატისტისა და უკანონო შეიარაღებული ფორმირების წევრის სტატუსისგან. ყველა ესენი ერთად კი განსხვავდებიან არაკონტროლირებად ტერიტორიებზე მცხოვრები მშვიდობიანი მცხოვრებლებისაგან. ჩვენი ამოცანაა, მოქალაქეობრივი კუთვნილების მიუხედავად, მათი მოქმედებები გავმიჯნოთ და ერთიან კომპლექსში, თითოეულთან ცალ-ცალკე მიმართებაში, შევიმუშაოთ სტრატეგია. სტატუსის დადგენის მიზანია ოკუპირებულ ტერიტორიებზე პირების სამართლებრივი იდენტიფიცირება, როგორც მათ მიმართ განსხვავებული დამოკიდებულების შესამუშავებლად, ასევე პასუხისმგებლობის განსაზღვრავად“, — განაცხადა ზაქარია ქუცნაშვილმა.

კანონპროექტის თანახმად, ოკუპირებულ ტერიტორიებზე სრულად უნდა მოქმედებდეს საქართველოს კანონმდებლობა, მაგრამ რადგანაც საქართველოს სახელმწიფოს ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები მოკლებული არიან კონსტიტუციური უფლებამოსილების განხორციელების შესაძლებლობას, პასუხისმგებლობა ადამიანთა უფლებების დარღვევისთვის რუსეთის ფედერაციას უნდა დაეკისროს. თუკი ამ ტერიტორიებზე საქართველოს კანონმდებლობის მოქმედება შეჩერდება, მაშინ აზრს დაკარგავს ნებისმიერი სამართლებრივი აქტი, რომელიც დღეს მოქმედებს.

იხ. 4 გვ.

მეზობელო, კარისაო

# რატომ ქრებიან ვარსკვლავები

**ვრცელდება ხმები იმის თაობაზე, რომ საქართველოში რუსულ ენას შეავიწროებენ. პუტინ-მედვედევის მიერ საქართველოსთვის თავსმოხვეულ ომს ასახელებენ მიზეზად. ამინდი დაუდგათ ფსევდოპატრიოტებს: ჩვენს მიწა-წყალზე მტრის ენა არ უნდა ისმოდესო. ჯერ ერთი, სადღა გვაქვს მიწა-წყალი?! ერთი პატარა ნაკვეთიღა შემოგვრჩა, რომელსაც ხუმრობით საქართველო ჰქვია. მეორეც. პუტინი რომ რუსია, განა ეს პუშკინის ან ჩეხოვის ბრალია?!**

აპირებენ, რომ რუსულად დუბლირებული ფილმები ქართულად აალაპარაკონ. კინომცოდნეთაგან ვიცი, რომ რუსულად და გერმანულად დუბლირებულ ფილმებს ევროპაში ბადალი არ მოეძებნება. ქართულად დუბლირებული ფილმები რა მხატვრული დონისაცაა, კარგად ვიცით. ვის მოუვიდა აზრად კინო და ტელეეკრანიდან რუსული ენის ასეთი „პატრიოტული მოტივებით“ გაძევება?!

საზოგადოებრივი ტელეარხით გვიჩვენეს: გურჯაანში რუსული ენის მასწავლებელმა ქალმა სკოლიდან წასვლის თაობაზე განცხადება დაწერა: „პუტინ-მედვედევის აგრესიის შემდეგ ბავშვებს რუსულ ენას აღარ ვასწავლიო“. აი, პროტესტი ჯერარნახული! საქმე, რომელსაც ოთხ ათეულ წელზე მეტხანს ემსახურა, უბრალოდ, არ ჰყვარებია, თორემ ასე იოლად რატომ შეელეოდა პედაგოგის პროფესიას?! კარგია, რომ ამ ქალბატონს მიმდევრები არ გამოუჩნდნენ.

ორიგინალურობას არ ვჩემულობ: მედვედევ-პუტინები მიდიან და მოდიან, რუსული ენა რჩება. მახსოვს, ბავშვობაში, გაგანია ომის დროს, გერმანული ენის მასწავლებელს ჩვენმა თანაკლასელმა ჰკითხა:

— ჰიტლერი გვეომება. მე მამა მომიკლა. თქვენ კი ამ კაცის ენას გვასწავლით.

— ჰიტლერის კი არა, გოეთეს ენას გასწავლით.

— მერე, განა ორივე გერმანელი არ არის?

— კი, ორივე გერმანელია, მაგრამ ერთი ისტორიის ხორცმეტია, მეორე — კაცობრიობის კუთვნილება.

ასეთი მასწავლებლებიც იყვნენ.

ჩვენი ყოველდღიური ცხოვრებიდან რუსულ ენას თუ გავრიყავთ, ზურგს შევაქცევთ მის დიდ ლიტერატურას და კულტურას, ჯერ ერთი, სულიერად გავღარიბდებით და დავკნინდებით. რა ენაზე ველაპარაკოთ ჩვენს მეზობელ აზერბაიჯანელებს, სომხებს, ჩრდილოკავკასიელებს?

დრო იყო, ქართველებიც გვარიანად ჩანდნენ რუსეთში. ვიცით, რა როლსაც ასრულებდნენ ისინი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, ახლა მეცნიერება, მწერლობა, თეატრი, კინო, მუსიკა? თანდათანობით ქრება ქართული ვარსკვლავები რუსეთის უკიდეგანო ცაზე და როდის აინთება კვლავ, ან თუ საერთოდ აინთება, ძნელი სათქმელია.

**გურამ ვაშაკიძე**

რუსი „ექსპერტების“ ბოროტი „წინასწარმეტყველება“

# რატომ „დაინდეს“ სამეგრელო და ზუგდიდი რუსებმა?




ამ წერილის პირველი ნახევარი, რომელსაც რეპლიკის ხასიათი აქვს, 28 აგვისტოს მოვამზადე გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 27 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნებული ბატონ ლადო ქირიას (ზუგდიდიძ ინფორმაციის — **„ვინ გადაარჩინა ზუგდიდი?“** — პასუხად.

ინფორმაცია გვაუწყებდა, რომ თურმე **ზუგდიდისა და მისი რეგიონის მოსახლეობა ომის შეუბრალებელ ნგრევას და შემოსეულ სკვითთა ძარცვა-მაროდიორობას მოსკოვში მცხოვრებმა გავლენიანმა(?!) ზუგდიდელებმა გადაარჩინეს. მაგრამ, ამავე დროს, ამ პატივს, თურმე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობაც იჩემებს, რომლის წარმომადგენლები „მუდმივად ხვდებოდნენ რუსეთის ე.წ. სამშვიდობო ძალების ხელმძღვანელობას. პირადმა ურთიერთობებმა და კეთილგანწყობილმა დამოკიდებულებამ შედეგიც გამოიღო. ზუგდიდი დაიცვა და დაიფარა ღვთისმშობლის კვართმა, რომელიც ზუგდიდის მუზეუმში ინახება — ასეთია მოსაზრება ზუგდიდის საზოგადოებრიობისა“,** — გვამცნობს ინფორმაციის პატივცემული ავტორი. ერთი სიტყვით, გველი ხვრელიდან თურმე მეგრულმა მოხერხება-მიხვედრილობამ და ტკბილად მოუბარმა ენამ ამოიყვანა. ყოჩაღ, მით უფრო, თუ ამ მცდელობას ზუგდიდის ადგილობრივი ხელისუფლების მონდომება და რელიგიური მოტივიც დაემატა!

მაგრამ აი, რაც **ქართლის რეგიონში** მოხდა, აქ, თუ ბატონ ლ. ქირიას ლოგიკას გავყვებით, ფხა და დიპლომატია ვერც მოსახლეობამ და, მით უფრო, ვერც მისმა ადგილობრივმა ხელისუფლებამ გამოიჩინეს. ამასთან, როგორც ჩანს, **გავლენიანი მფარველები** მათ არც მოსკოვში ჰყავდათ და ასეთი არც გორის ი. ბ. სტალინის სახლ-მუზეუმში აღმოჩნდა. ამიტომ შედეგმაც არ დააყოვნა: **ზუგდიდელების კარგი მოპყრობით მოხიბლულმა და გაკეთილშობილებულმა სკვითებმა** გუნება იცვალეს და დასახელებული რეგიონის ქალაქ-სოფლები სულ ნაცარ-ტუტად აქციეს, მოსახლეობიდან კი (ურიცხვი ბავშვი, ქალი, მოხუცი და ახალგაზრდაძ, ვინც გაქცევით თავს ვერ უშველა, — ნაწილი დაიღუპა, უმეტესობა კი ლტოლვილად იქცა.

ბატონ ლ. ქირიას ინფორმაციაში სხვა საგულისხმოდ „დამამშვიდებელი“ ფაქტებიცაა მოტანილი. მაგალითად ის, რომ „აფხაზეთის იურისდიქციაში მოქცეული“ ზუგდიდის ენგურის გაღმა სოფლების — განმუხურისა და ხურჩას ორმოცდაათამდე მკვიდრმა არ ისურვა აფხაზეთის მმართველობაში ყოფნა და სოფელი დატოვა. აფხაზებმა მათ **პატიოსნად გამოუყვეს დახმარება, დევნილის სტატუსი მიაკუთვნეს და გამოუშვეს,** დანარჩენები კი იქაურობას არ ტოვებენ და ელიან, როდის დაუბრუნდება ეს სოფლები საქართველოს. ენგურსგაღმა დანარჩენი ქართული სოფლები კი აფხაზებმა მალევე დატოვეს, მანდაურებს დაემშვიდობნენ და **ამჟამად იქ ყველაფერი ნორმალურად ფუნქციონირებს.** ერთი სიტყვით, ...„ქატო იქა, ფქვილი აქა.“

ეეე, ბატონო ლადო, ბატონო ლადო!

მეზობელი ხალხებისადმი პატივისცემასა და მშვიდობისმოყვარეობას რომ იმპერიული რუსეთი თუნდაც ერთი ბეწოთიც ავლენდეს, სიკეთეს ვინ ოხერი დაუკარგავს. მაგრამ ამ ომში მან ზუგდიდის მოსახლეობა იმიტომ ხომ არ დაინდო, რომ ამით **მეგრელების ვითომ კეთილგანწყობის მოპოვებაც სურდა (და სურს),** რაც მისი **„აშორდიული“ პოლიტიკა და საქართველოდან სამეგრელოს ჩამოშორების ძველისძველი ოცნებაა.** ეს პოლიტიკა დღესაც აქტიურად მოქმედებს (ზუგდიდში მყოფს ეს ჩემზე რა გესწავლებათძ. სხვა, შორსმიმავალ მიზნებთან ერთად, რუსეთს ამ ომში, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს ხელისუფლების თავიდან მოცილების გზით საქართველოს სახელმწიფო საგარეო პოლიტიკის შეცვლა სურდა (და დღესაც სურსძ და ხელისუფლების საწინააღმდეგო ჯანყის გამოსაწვევად მოსახლეობაც სამაგალითოდ დასაჯა. **რუსეთ-საქართველოს ამ ომში რომ სამეგრელოს მოსახლეობა თითქოს დიდად არ დაზარალდა,** ეს ცხადია, ცუდი არ არის. მაგრამ განა ზუგდიდელთა ტკივილი არ არის ის, რომ საქართველოს სხვა ქალაქებსა და სოფლებში მთლიანად დაინგრა და განადგურდა ქვეყნის საზღვაო და სახმელეთო თავდაცვითი, საწარმოო, სოციალურ-კულტურული და სხვა სახის ინფრასტრუქტურა? **უშუალოდ ზუგდიდი რომ რუსთა ძარცვა-მაროდიორობას „გადაურჩა“, ეს განა ამ საყოველთაო ნგრევისა და ძარცვის საფასურია? ეს „განწყობა“ კი თქვენს ვითომ გულუბრყვილო ინფორმაციაში აშკარად გამოსჭვივის. მით უფრო, როგორც ბრძანებთ, „ასეთია მოსაზრება ზუგდიდის საზოგადოებრიობისა“**–ცო. განა გჯერათ მოსკოვსა და, საერთოდ, რუსეთში „მოღვაწე“ პირში წყალჩაგუბებული მრავალი კონდოტიერი ქართველისა, რომლებსაც შეეძლოთ ზუგდიდის ან რომელიმე სხვა ქართული ქალაქ-სოფლისთვის „მფარველობა“ გაეწიათ, ან სამეგრელოს (ზუგდიდისძ ადგილობრივი ხელისუფლების რუსებზე რაიმე ზემოქმედებისა? არა მგონია ასეთი მიამიტი იყოთ! თქვენს ინფორმაციას კი, უკეთეს შემთხვევაში, სხვა რა სახელი უნდა მოეძებნოს?

ეს წერილი გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციას 28 აგვისტოს ელექტრონული ფოსტით გავუგზავნე, მაგრამ არ გამოქვეყნებულა, რადგან, მაშინ, არეული ინტერნეტისა და დაბლოკილი საიტების პირობებში, შესაძლოა რედაქციამ იგი ვერც მიიღო. მეც მივივიწყე.

ამ დღეებში კი ერთ-ერთ რუსულ საიტზე ფრიად საინტერესო (და დამაფიქრებელძ მასალას წავაწყდი, რომლის სათაურია: **„ექსპერტები საქართველოს „სუვერენიტეტების პარადს“ უწინასწარმეტყველებენ“.** მისი ავტორები არიან ალექსი ბალიევი და ალექსი მოროზოვი. იგი 25 სექტემბერს „როსიისკაია გაზეტას“ გამოუქვეყნებია. ამ წერილმა კი ზუგდიდელი კორესპონდენტის ინფორმაციაზე ჩემი გამოუქვეყნებელი რეპლიკა გამახსენა და გადავწყვიტე მათი ერთ მასალად შეკვრა.

აი რას წერენ ბატონი „რუსი ექსპერტები“ (წერილი საკმაოდ მოზრდილია და მე მის ძირითად ნაწილს უკომენტაროდ მოვიტან. შავად ყველგან ჩემი გამოყოფილიაძ.

სამეგრელოში (ეს საქართველოს ტერიტორიაა აფხაზეთთან ახლოს, „განმარტავენ“ ავტორებიძ ამ დღეებში ადგილობრივი ვალუტა გამოჩნდა, **თვით სამეგრელოში კი ხმები დადის თითქმის ამ კუთხის დამოუკიდებლობაზეცო.** ექსპერტები არ გამორიცხავენ, რომ საქართველოდან აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გამოყოფა მხოლოდ დასაწყისია: ეს ქვეყანა (ე.ი. საქართველოძ მალე სხვა ტერიტორიებსაც დაკარგავსო.

სამეგრელოს მაცხოვრებლებმა (ისინი ამ რეგიონში უმეტესობას წარმოადგენენოძ ზუგდიდის (სამეგრელოს ცენტრიაოძ ხელისუფლებას მოუწოდეს, რომ თავისი ფული გამოუშვან (ლაპარაკია ფულის ახალ ნიშნებზეძ და ეს საქმე ადგილობრივი ფოტოატელიეს მეპატრონემ ადოლფ ქაჯანმა (ალბათ ქაჯაიამ — **ა. გ.**ძ დაიწყო. თითქოს ანეგდოტია, მაგრამ ამ ფოტოგრაფმა მთელი მოსახლეობა ააღელვა და ამ საქმისადმი სერიოზულად განაწყო. იგი აცხადებს, რომ **ოფიციალურმა თბილისმა ისინი მიატოვა და უკანასკნელი, რაც ამ მხარეს ცენტრთან აკავშირებს, ეს ადგილობრივი პოლიციაა, მაგრამ მეგრელები მათ მალე „მოარჯულებენო“.**

და, მართლაც, რა გგონიათ? ადგილობრივი ფულის გამოშვება დაუყოვნებლივ დაიწყეს და იმის მიუხედავად, რომ ადგილობრივმა პოლიციამ ულიარებელი ვალუტის მთელი პირველი ტირაჟი დააპატიმრა (ხის ყუთებში ჩაწყობილი ფული „გაზელის“ მარკის ავტომანქანით გადაჰქონდათძ, მეგრელები კვლავ ახალი ფულის ბეჭდვას და ფულის გადაცვლის ჯიხურების მოწყობასაც კი აპირებენო.

იხ. 4 გვ.

ინფორმაცია

## ევროპარლამენტში ომის შედეგებზე იმსჯელებენ

**ევროსაბჭოს** საპარლამენტო ასამბლეის საშემოდგომო სესიის მონაწილეები სამხრეთ კავკასიაში არსებული სიტუაციისა და მომხდარი კონფლიქტის ირგვლივ მსჯელობას იწყებენ. დისკუსია მიმდინარეობს თემაზე, რომელიც დღის წესრიგში შეტანილია სახელწოდებით საქართველოსა და რუსეთს შორის მომხდარი ომის შედეგები და იგი სასწრაფო დებატების ფორმატში იმართება.

ევროპარლამენტარების წინაშე სიტყვით გამოვლენ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის კომისიის მომხსენებლები ლიუკ ვან დენ ბრანდე (ბელგია) და მათიას იორში (უნგრეთი). სწორედ ეს ორი ადამიანი ხელმძღვანელობდა საგანგებო კომისიას, რომელსაც ზემოთ აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით მემორანდუმის შემუშავება ჰქონდა დავალებული.

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის გუშინდელ სხდომაზე დებატებში მონაწილეობის მიღების სურვილი 130-მა ევროპარლამენტარმა გამოთქვა, მათ შორის 34 პარლამენტარი რუსეთიდანაა.

## იცვლება ტყვეები და თავისუფლებააღკვეთილი პირები

**ევროპის** საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარი, ტომას ჰამარბერგი აცხადებს, რომ კმაყოფილია იმ შედეგებით, რასაც ქართულ და რუსულ მხარეს დაკავებულ და თავისუფლება აღკვეთილ პირთა გათავისუფლებისა და გაცვლის საქმეში მიაღწიეს.

წინსვლაა გარდაცვლილ პირთა ამოცნობის სფეროშიც, რითაც მცირდება იმ დაკარგულ პირთა რაოდენობა, რომელთა ბედი უცნობია“, — განაცხადა ჰამარბერგმა.

ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარმა პრობლემების მოგვარებაში მხარეებს დახმარება შესთავაზა და მადლიერება გამოთქვა თბილისში, ქართველი პარლამენტარის გივი თარგამაძისა და ცხინვალში ომბუდსმენის, დავით სანაკოევის მხრიდან გაწეული კონსტრუქციული საქმიანობის გამო.

## მთელი რუსეთი ხელში უჭირავთ და გმირობა რა ჩირად ულირთ

**სეპარატისტულ** აფხაზეთში მყოფი ადიღეს პრეზიდენტი ასლან ტხაკუშინოვი ახალი ინიციატივით გამოდის და სეპარატისტულ აფხაზეთს, ასევე სეპარატისტულ სამხრეთ ოსეთსა და მთელს ჩრდილოკავკასიელ ხალხებს რუსეთის პრეზიდენტის დიმიტრი მედვედევისა და პრემიერ მინისტრ ვლადიმერ პუტინისთვის „რუსეთის გმირის“ ორდენის მინიჭებას სთავაზობს.

ადიღეს პრეზიდენტმა აღნიშნული ინიციატივა სეპარატისტული რეჟიმის მიერ ორგანიზებულ, აფხაზეთის ე.წ. დამოუკიდებლობის მე-15-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას გაახმიანა.

მათ არ დაუშვეს აფხაზეთში ხელახლა საბრძოლო მოქმედებების განახლება და შეაჩერეს ახალი გენოციდის პროცესი სამხრეთ ოსეთში, — განაცხადა ასლან ტხაკუშინოვმა.

მისივე თქმით, რუსეთის პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, კავკასიელი ხალხებისათვის უმნიშვნელოვანესია.

## ვიზიტი ჩეხეთის მხარდაჭერის გამოხატვაა

**რეინტეგრაციის** საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი გუშინ ჩეხეთის წარმომადგენლობითი პალატის, თავდაცვისა და საგარეო ურთიერთობათა კომიტეტების დელეგაციას შეხვდა.

როგორც შეხვედრის დასრულების შემდეგ, დელეგაციის ხელმძღვანელმა ტომას დუბმა განაცხადა, მათი საქართველოში ვიზიტი ჩეხეთის მხარდაჭერის გამოხატვაა. დუბის შეფასებით, ეს მხარდაჭერა მნიშვნელოვანია საქართველოსთვის.

საქართველოში 2-დღიანი ვიზიტით ჩეხეთის პარლამენტის 9-წევრიანი დელეგაცია იმყოფება. გუშინდელ შეხვედრას საქართველოში ჩეხეთის რესპუბლიკის ელჩი ივან იეტრაბიც ესწრებოდა.

ინტერპრესნიუსი და ჯი-ეიჩ-ენი

რუსი „ექსპერტების“ ბოროტი „წინასწარმეტყველება“

# რატომ „დაინდეს“ სამეგრელო და ზუგდიდი რუსებმა?



(მესამე გვერდიდან)

**სეპარატიზმში სამეგრელო მარტოდმარტო არ არის,** – წერენ ავტორები – ამიერკავკასიის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ჰგაეცნობით მასალებს იმის შესახებ, რომ **საქართველოს შეიძლება გამოეყოს ჯავახეთის ოლქიც,** რომელიც უპირატესად სომხებითაა დასახლებული. მსგავსი პროცესი ვითარდება **ქვემო ქართლშიც, სადაც აზერბაიჯანელები ცხოვრობენ.** ექსცესებია მოსალოდნელი გურიაშიც. პოლიტოლოგ-ეთნოგრაფ მამუკა არეშიძის მონაცემებით, **სამეგრელოში აცხადებენ, რომ მეგრელები ქართველები არ არიან და ისინი ყოველთვის მეგობრობდნენ რუსეთთან. ასეთივე სიტუაცია ჟონავს სვანეთშიც.** ასე რომ, მისი (ე. ი. ბატ-ნ მ. არეშიძის, **ა.გ.**ძ აზრით, საქართველოს სერიოზული დესტაბილიზაცია ემუქრებაო.

მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს, – წერენ ავტორები,– რომ საქართველო იმეორებს 1917-1918 წლებში რუსეთის იმპერიისა და 1991 -ში სსრკ-ის დაშლას? ისტორიაში მოკლე ექსკურსი გვიჩვენებს, რომ **საზღვრების ამჟამინდელი კონსტრუქცია საკმაოდ მყიფეა, ხოლო რამდენადაც კავკასიაში ადამიანთა მეხსიერება – უფრო მტკიცე,** ამის შესახებ დღეს ყველამ იცის და ახსოვთ.

შემდეგ, წერილის „ექსპერტ-ავტორები“ იხსენებენ 1783 წელს ქართლ-კახეთში რუსეთის პროტექტორატის დამყარებას, ხოლო 18 წლის შემდეგ მის შესვლას იმპერიაში. **ირანთან და თურქეთთან ომის შედეგად ისეთი ტერიტორიები განთავისუფლდა, რომლებიც საქართველოს ფარგლებში მოექცნენ, მაგრამ არასდროს არ ყოფილან ქართლ-კახეთის სამეფოში. ესაა აჭარა, გურია, სვანეთი, სამეგრელო, ჯავახეთი.** ამასთან, დამოუკიდებელ სამეგრელოს სამთავროზე რუსეთის მფარველობა იქაური დადიანების დინასტიის მთავრების თხოვნით ჯერ კიდევ 1803 წელს იქნაო დამყარებულიო.

ე.წ. „საქართველოში“ ყველა ეს მხარე მეფის რუსეთში ცალკე გუბერნიებად იყო გაერთიანებული და რევოლუციის შემდეგ, 1921 წელს, წითელი არმიის მოსვლის შემდეგ, **საბჭოებმა დიდხანს არც კი იცოდნენ რა ექნათ „საქართველოდ“ წოდებულ მიწის ამ ერთი „ნაგლეჯისათვისო“.**

ნაციონალისტები საბჭოთა მთავრობაშიც ძლიერები იყვნენ და მხარს „ერთიანი საქართველოს“ პროექტს უჭერდნენ. მაგრამ **სტალინმა** გადაწყვიტა, რომ ქართული ნაციონალიზმით შესაძლოა შელახულიყო იქაური ეროვნულ უმცირესობათა ინტერესები. ამიტომ **საქართველო „ავტონომიათა ნაჭრებით შეკერილ საბნად“ იქცა.** ხალხმა ეს არ დაივიწყა: დასავლეთ საქართველოში დღემდე არსებობს სტალინის სახელობის ქუჩები, დგას მისი ბიუსტები, ბათუმში არის სტალინის მუზეუმი (მომავალმა „ხალხთა ბელადმა“ სწორედ იქ დაიწყო რევოლუციური საქმიანობაძ.

ამის შემდეგ „ექსპერტ-ავტორები“ იხსენებენ 1940-იანი წლების დასასრულს ე.წ. „მეგრელთა საქმეს“, რომელიც თითქოს ბერიას მეთაურობით მეგრელთა სეპარატიზმის გამოვლინება იყო და **საქართველოდან სამეგრელოს და სვანეთის ოლქებად გამოყოფას** ითვალისწინებდა. მაგრამ ბერია „გამოძვრა“, სტალინი გარდაიცვალა და პროექტი ვერ განხორციელდა. **ეს რომ მომხდარიყო, მთელი შავი ზღვის სანაპირო ამ ავტონომიის ხელში აღმოჩნდებოდაო.**

**საქართველოდან რიგი ტერიტორიების გამოყოფა მის ეკონომიკას გაანადგურებს. მარტივად რომ ვთქვათ, თბილისს თითქმის არაფერი დარჩება,** – მიუთითებენ წერილის ავტორები.

წერილში ჩამოთვლილია დასავლეთ საქართველოში განლაგებული თითქმის ყველა მსხვილი საზღვაო და სამრეწველო ობიექტები (ფოთი – ამიერკავკასიის თითქმის ყველაზე დიდი ინდუსტრიული რეგიონი; სსრკ-ში ერთ-ერთი უმსხვილესი **ზუგდიდის** ქაღალდის კომბინატი. ეს ქალაქი ამავე დროს ამიერკავკასიის რკინიგზის ძირითადი ცენტრია; **ტყიბული** – ქვაქნახშირის ერთერთი მსხვილი საბადო გამამდიდრებელი ფაბრიკით; **ჭიათურა** – სსრკ-ში მარგანეცის ერთ-ერთი უმსხვილესი საბადო; უნიკალური **ვარციხის ჰესის კასკადი; ზესტაფონის** ფეროშენადნობის ქარხანა, რომელიც ამჟამად ინგლისელებს ეკუთვნის. მისი სიმძლავრე დღეს განახევრებულია, ხოლო ვარციხის ჰესის პოტენციალი 15 პროცენტითაა გამოყენებულიძ.

წერილის ავტორები განსაკუთრებით აღნიშნავენ, რომ აჭარა ძალიან მდიდარია. მისი უმთავრესი სიმდიდრე ბათუმის პორტია, რომელიც სსრკ-ს დროს ქვეყნის სავაჭრო და სამხედრო ფლოტის სარეზერვო ბაზას წარმოადგენდა. მას მიერთებულია ბაქოდან გამოყვანილი ნავთობ – და ნავთობპროდუქტსადენი მილი. ბათუმის დიდ როლზე ასეთი ფაქტიც მეტყველებს: როდესაც 1940 წელს, ფინეთსსრკ-ის ინციდენტის (სინამდვილეში – ფინეთზე სსრკ-ის აგრესიის, **ა.გ.**ძ საპასუხოდ რუსეთში ბრიტანეთ-საფრანგეთ-თურქეთის კორპუსის შემოჭრა მზადდებოდა, მისი სარდალი, გენერალი ვეიგანი ამბობდა: **„ბაქოს და ბათუმის დაუფლებით ჩვენ რუსეთში ისე შევალთ, როგორც დანა კარაქშიო“.**

ამის გარდა აჭარა, ისევე, როგორც საერთოდ დასავლეთ საქართველო, მდიდარია ჰიდროელექტროენერგიით, ფერადი წიაღისეულით (დაძიებულია სტრატეგიული ქრომიცძ, მაგრამ ყველაფერი ეს დღეს „გაყინულიაო,“ – ასკვნიან ავტორები.

დასასრულ, „მსჯელობა“ იმაზე მიდის, თუ **რამდენად რეალურია დღეს საქართველოს დაშლის სცენარი. ავტორები მიუთითებენ, რომ ყველაფერი ოფიციალურ თბილისზეა დამოკიდებულიო.** თბილისი კი, როგორც ჩანს, შეცდომების აღიარებას არ აპირებს. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ისტორიას იძ, ძველებურად, კვლავ „რუსეთის აგრესიად“ მიიჩნევენ. მაგრამ საქართველოს სხვა ტერიტორიებიც რომ მისგან გამოსვლაზე ფიქრობენ, განა ესეც „რუსეთის მცდელობაა?“ თბილისი ისე გაერთო ამერიკული თამაშით, რომ დასავლეთიდან მიღებული ყბადაღებული დახმარება მხოლოდ სამხედრო ხასიათისა აღმოჩნდა, ხალხს კი დაპირებებით აშოშმინებენ. ასეთ სიტუაციაში ყოველთვის მოქმედებს ლოზუნგი: „ვისაც როგორც შეგიძლიათ – თავს უშველეთ“. ესტონეთშიც, რომელიც ეკონომიკურ სიძნელეებს განიცდის, რამოდენიმე რუსულენოვანი ხუტორის მაცხოვრებლებმა ასევე ქვეყნისაგან გამოყოფა გამოაცხადეს. **საანეგდოტოა, მაგრამ ცუდი ანეგდოტი და სერიოზული სიგნალია როგორც ტალინის, ისე თბილისისათვისაცო.**

ასეთია „როსსისკაია გაზეტას“ ექსპერტ-ავტორების ა. ბალიევისა და ა. მოროზოვის აჰწ. 25 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნებული ბოროტი პასკვილის შინაარსი.

თუმცა „ვინმე“ ს. ბალიევსა და ს. მოროზოვზე რა უნდა ითქვას, როდესაც „იზვესტია რუ“-ს ა/წ 27 სექტემბრის ცნობით, სულ ახლახან, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა **ს. ლავროვმა** აშშ-ს ყოფილ სახელმწიფო მდივანს, ნობელის მშვიდობის პრემიის ლაურეატ **ჰენრი კისინჯერს „აუხსნა“, რომ აფხაზეთი საბჭოთა საქართველოს შემადგენლობაში სტალინმა შეიყვანა, ხოლო სამხრეთ ოსეთი მანვე ჩრდილოეთ ოსეთს ჩამოაშორა და საქართველოს მიაკუთვნა. ეს ფაქტი „თურმე“ არავის, ვინც დღეს აშშ-ს პოლიტიკას განსაზღვრავს, არ ცოდნია. ს. ლავროვის „განათლებული“ კისინჯერი კი, თურმე, უკვე საქართველოს ხარჯზე ნატოს გაფართოების წინააღმდეგ გამოდის.**

აი, ასე მარტივად მიკიბულმოკიბულ და გამიზნულად დამახინჯებულ ინფორმაციას უსირცხვილოდ აწვდის დღეს რუსეთის ხელმძღვანელობა და „დამოუკიდებელი“ რუსული მედია როგორც უცხოეთს, ისე მილიონობით რუს მკითხველს.

ამიტომ, გადაუდებელ საჭიროებას წარმოადგენს, რომ ამ საკითხებზე **ქართველი მეცნიერ-ისტორიკოსების მიერ ქართულ მედიაში (და არა მარტო ქართულ გაზეთებში) ქართულ ენაზე გამოქვეყნებული შესანიშნავად დასაბუთებული წერილები (სტატიები), რომლებიც კუთვნილ ადრესატს ვერა და ვერ აღწევენ, ქართულთან ერთად რუსულ და უცხო ენაზეც ქვეყნდებოდეს** (სხვათაშორის ისე, როგორც ამას ჩვენი მეზობელი სომხები დიდი წარმატებით ახერხებენძ.

რაც შეეხება ბატონ ლ. ქირიას ინფორმაციას, თუ ვინ „გადაარჩინა“ ზუგდიდი, ვფიქრობ, მას უკვე არ ექნება ილუზია ამის თაობაზე.

**ამირან გაბისონია**
**27. 09. 08 წ.**

ახალი კანონპროექტი

# თუ მშვიდობა გვინდა, ომს ერთხელ და სამუდამოდ უნდა დავემშვიდობოთ

(მეორე გვერდიდან)

კანონპროექტის მნიშვნელოვანი სიახლე მისი მე-10 მუხლია, რომელშიც მშვიდობის ზონის შექმნა და ამ ზონაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველმყოფი საერთაშორისო გარანტიები იგულისხმება. პროექტის მიხედვით, ოკუპირებული ტერიტორიების ოკუპანტებისგან განთავისუფლების შემდეგ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა და ქალაქი ცხინვალი, ცხინვალის, ზნაურის და ჯავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიები ცხადდება მშვიდობის ზონებად. ამ ზონებში, როგორც ოკუპაციისას, ასევე ოკუპაციის შემდეგ მშვიდობა და საზოგადოებრივი წესრიგი უნდა უზრუნველყოს საერთაშორისო საპოლიციო ძალებმა. „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ კანონში ცხადად ჩანს, რომ ოკუპირებული ტერიტორიებიდან საქართველოს ოკუპანტების განდევნა უნდა იმისათვის, რომ აღდგეს ისტორიული სამართლიანობა, დაბრუნდნენ იძულებით გადაადგილებული პირები და ეთნიკური განსხვავების მიუხედავად მშვიდობიანად იცხოვრონ.



ზაქარია ქუცნაშვილმა საზოგადოებას განუმარტა: „ჩვენ ომს ერთხელ და სამუდამოდ უნდა დავემშვიდობოთ თუ გვინდა მშვიდობა და ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის აღდგენა. ომს საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ჩვენი მოქალაქეების მიმართ, გამართლება არა აქვს. კანონის ძალით დაცული მშვიდობა არ გამორიცხავს საპოლიციო ოპერაციების წარმოებას, რომლის ამოცანა იქნება კონკრეტული დამნაშავე პირის ან ჯგუფის დაკავება და არა მთელი ეთნოსისა.

პროექტს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოქალაქეებისა და ამ ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირებისათვის სოციალური დაცვის დამატებითი გარანტიები შემოაქვს. ქვეყანამ, რომელმაც რამდენიმე თვის წინათ აღიარა, რომ მისი მთავარი პრობლემა სიღარიბე და უმუშევრობაა, უარი არ უნდა თქვას ადამიანების სასიცოცხლო მოთხოვნილებების უზრუნველმყოფ სოციალურ ღონისძიებებზე. საცხოვრებელი სადგომის, მაცივრის და ტელევიზორის მიცემა შემოსავლების არმქონე ოჯახს ვერ გადაარჩენს“.

ომბუდსმენის ოფისში შეკრებილმა იურისტებმა კანონპროექტის შესახებ იმსჯელეს. სახელისუფლებო გუნდის წარმომადგენელმა ელენე თევდორაძემ აღნიშნა: „ეს კანონპროექტი მისაღებია, მაგრამ ჩვენ გვაქვს ჩვენი კანონპროექტიც, რომელზეც ახლახან დავამთავრეთ მუშაობა. ჩვენს კანონპროექტს და ამ პროექტს შორის მცირედი განსხვავებაა. პირველი განსხვავებაა, თუნდაც, დასათაურებაში. ჩვენს კანონპროექტს ჰქვია „საქართველოს დროებითი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ კანონი და ვფიქრობ, სიტყვა „დროებითი“ საკმაოდ მნიშვნელოვანი და ხაზგასასმელია. ქუცნაშვილის მიერ შემოთავაზებული პროექტის შენიშვნებზე ჯერჯერობით ვერ ვისაუბრებ, თუმცა ვფიქრობ, რომ საჭიროა ტერმინი – „ოკუპირებული ტერიტორიები“ შეიცვალოს „დროებით ოკუპირებული“ ტერიტორიებით.

მოიწონებენ თუ არა ამ კანონპროექტს და საბოლოოდ დაამტკიცებს თუ არა პარლამენტი, ამაზე ჯერ ნაადრევია საუბარი. სახალხო დამცველის შეფასებითაც, „ნაადრევია საუბარი იმაზე, თუ რითი განსხვავდება ეს კანონპროექტი პარლამენტში მომზადებული პროექტისაგან. ჯერ საჭიროა დეტალების განხილვა და მათზე მსჯელობა, მაგრამ კანონპროექტის ძირითადი პრინციპები ჩემთვის მისაღებია. ყველაზე მნიშვნელოვანი და მისასალმებელი კი ის არის, რომ ასეთი კანონის მიღებამდე მას საჯაროდ, საზოგადოებრივად განიხილავენ“.

**თამარ ბუზალაძე**

ისტორია

# 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება, რომელიც რუსეთმა ფეხებზე დაიკიდა



**1920 წლის 7 მაისს მოსკოვში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და რუსეთის სოციალისტურ ფედერაციულ საბჭოთა რესპუბლიკას შორის ხელშეკრულება დაიდო. საქართველო-რუსეთის ხელშეკრულება მომზადდა და დაიდო ურთულეს სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებაში.**

საქართველოს დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარებისათვის ბრძოლაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა საბჭოთა რუსეთის პოზიციას. 1918 წლის 26 მაისს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას რუსეთი აშკარად მტრულად შეხვდა. უმძიმეს სამოქალაქო ომში ჩაბმულ რუსეთს იმხანად არ შეეძლო საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო ან დიპლომატიური სანქციების გამოყენება. ამას, გარკვეულწილად, უნდა გაეადვილებინა საქართველოს დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარება. მიუხედავად ამისა, ქართული დიპლომატიის ცდას, გაერღვია მოჯადოებული წრე, წარმატება არ მოჰყოლია. 1918 წლის 11 ნოემბერს გერმანია პირველ მსოფლიო ომში დამარცხდა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა უმოკავშიროდ დარჩა. ამიერიდან საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება უკვე ომში გამარჯვებულ ანტანტაზე იყო დამოკიდებული. ანტანტაში წამყვან როლს ინგლისი ასრულებდა, ინგლისის მხრიდან კეთილგანწყობის იმედი კი პროგერმანულ ორიენტაციაზე მდგომ საქართველოს არ უნდა ჰქონოდა.

1918-1920 წლებში, სამოქალაქო ომის პერიოდში, ჩრდილოეთ კავკასიაში, ჩრდილოეთ კასპიისპირეთსა და ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში საბჭოთა რუსეთის იურისდიქცია შეწყდა. ჩრდილოეთ კავკასიასა და ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთს დიდი ხნით დაეპატრონა მოხალისეთა არმია (სარდალი – გენერალი ანტონ დენიკინი). 1920 გაზაფხულისათვის წითელმა არმიამ მოხალისეთა არმია დაამარცხა. მოხალისეთა არმიამ ყირიმის ნახევარკუნძულს შეაფარა თავი.

ჩრდილოეთ კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების აღდგენამ და საქართველოს საზღვრებთან წითელი არმიის მოახლოებამ კარდინალურად შეცვალა ანტანტის პოლიტიკა. ანტანტის ქვეყნები ა. დენიკინის მოხალისეთა არმიის საბოლოო დამარცხებას აღარც კი დაელოდნენ და 1920 წლის 12 იანვარს **დე ფაქტო** ცნეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. ინგლისი სასწრაფოდ შეუდგა ბაქო-ბათუმის ნავთობსადენის დაცვის შესაძლო ვარიანტების დამუშავებას იმ შემთხვევისათვის, თუ სამხრეთ კავკასიაში საბჭოთა რუსეთი შეიჭრებოდა. ანტანტის პოლიტიკის შეცვლა წინასწარვე იგრძნო საბჭოთა რუსეთის დიპლომატიამ. რუსეთმაც დიპლომატიურ მანევრს მიმართა. ჯერ კიდევ ანტანტის მიერ საქართველოს დე ფაქტო ცნობამდე, 1920 წლის 6 იანვარს, საბჭოთა რუსეთმა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ა. დენიკინის წინააღმდეგ სამხედრო ხელშეკრულების დადება შესთავაზა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ, ნეიტრალიტეტის მომიზეზებით, სამხედრო ხელშეკრულების დადებაზე უარი განაცხადა, თუმცა რუსეთთან პოლიტიკური ურთიერთობის მოგვარების მიზნით მოლაპარაკების დაწყება მიზანშეწონილად მიიჩნია.

ინგლისის მზადებას ბაქო-ბათუმის ნავთობსადენის დასაცავად პრაქტიკული შედეგები არ მოჰყოლია. საბჭოთა რუსეთმა კი არ დააყოვნა და თურქეთთან წინასწარი შეთანხმების შემდეგ, 1920 წლის 28 აპრილს წითელმა არმიამ ბაქო დაიკავა. აზერბაიჯანის დამოუკიდებელმა სახელმწიფომ არსებობა შეწყვიტა. ეს ანტანტის პოლიტიკის სერიოზულ მარცხს მოასწავებდა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა დარწმუნდა, რომ ანტანტის დაპირების იმედად დარჩენა სახიფათო იყო. აუცილებელი გახდა საბჭოთა რუსეთთან პოლიტიკური ურთიერთობის მოგვარება, რასაც, პირველ რიგში, რუსეთის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება უნდა მოჰყოლოდა. ამრიგად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, საბჭოთა რუსეთთან მოლაპარაკებას რომ იწყებდა, ორი მიზნის მიღწევას ცდილობდა. **პირველი**. თუ სამხრეთ კავკასიაში (ამიერკავკასიაში) ანტანტის პოზიციები შესუსტდებოდა, საქართველოს პროდასავლური ორიენტაციით გაღიზიანებულ რუსეთთან ჩვენს ქვეყანას ურთიერთობის მოგვარება აღარ გაუჭირდებოდა და სამხედრო დაპირისპირების (ომისა) თავიდან აცილებასაც შეძლებდა; **მეორე**. თუ ამ ხელშეკრულებით საბჭოთა რუსეთი საქართველოს დამოუკიდებლობას ცნობდა, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნებოდა მსოფლიოს ქვეყნების მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დე იურე აღიარებისათვის.

საბჭოთა რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობის ნაწილი მხარს უჭერდა აზერბაიჯანის შემდეგ საქართველოს დაპყრობას. მიუხედავად ამისა, ვ. ლენინმა ჩათვალა, რომ შექმნილ ვითარებაში ომი საქართველოსთან სახიფათო იქნებოდა. არც საგარეო და არც საშინაო ვითარება ომისათვის ხელსაყრელი არ იყო. ომს საქართველოს წინააღმდეგ შეიძლებოდა ანტანტასთან და, კერძოდ, ინგლისთან ურთიერთობის გამწვავება მოჰყოლოდა. გამორიცხული არც ომის დაწყება იყო. ანტონ დენიკინის მოხალისეთა არმიის დამარცხების მიუხედავად, სამოქალაქო ომი რუსეთში კვლავ გრძელდებოდა. 1920 წლის მარტში სამხრეთ რუსეთში დარჩენილ მოხალისეთა არმიას სათავეში ჩაუდგა გენერალი **პეტრე ვრანგელი**. წითელმა არმიამ პ. ვრანგელის არმიის ყირიმის ნახევარკუნძულზე შეკავება ვერ შეძლო. პ. ვრანგელის პირველმა წარმატებებმა სამხრეთ რუსეთში კვლავ სერიოზული საფრთხე შეუქმნა საბჭოთა წყობილებას. დაძაბული ვითარებით ისარგებლა პოლონეთმა. 1920 წლის 17 აპრილს პოლონეთის არმიამ კიევზე შეტევა წამოიწყო. პოლონელებთან ერთად საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ომში ჩაება უკრაინის დირექტორიის არმია **სიმონ პეტლურას** სარდლობით. უკრაინაში განლაგებული წითელი არმიის ნაწილები მდ. დნეპრისაკენ იხევდნენ. 6 მაისს პოლონელებმა **კიევი** დაიკავეს და ბრძოლები დნეპრის მარცხენა ნაპირზე გადაიტანეს. საბჭოთა რუსეთს საბოლოოდ პოლონეთის არმიის დამარცხება არ გაუჭირდებოდა, მაგრამ მოსკოვს აშინებდა პოლონეთისადმი ანტანტის სამხედრო-პოლიტიკური მხარდაჭერა, რომლის მასშტაბების ამოცნობა იმხანად შეუძლებელი იყო. ასეთ ვითარებაში საბჭოთა რუსეთი იძულებული გახდა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან მოლაპარაკებას დასთანხმებოდა და დროებით უარი ეთქვა სამხრეთ კავკასიაში დაპყრობითი ომის გაგრძელებაზე.

საქართველოსა და რუსეთს შორის მიღწეული შეთანხმების საფუძველზე ორ ქვეყანას შორის მოლაპარაკებები მოსკოვში დაიწყო. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელით მოლაპარაკებას აწარმოებდა დამფუძნებელი კრების წევრი **გრიგოლ ურატაძე**, ხოლო რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის სახელით – საგარეო საქმეთა სახალხო კომისარ, გიორგი ჩიჩერინის მოადგილე **ლევ კარახანი (კარახანიანი)**. გრიგოლ ურატაძე მოსკოვში 1920 წლის აპრილის ბოლოს ჩავიდა და წინასწარი კონსულტაციების შემდეგ 1920 წლის 28 აპრილს ოფიციალური მოლაპარაკებაც დაიწყო. 6 მაისს მოლაპარაკება დამთავრდა, ხოლო 7 მაისს გრიგოლ ურატაძემ და ლევ კარახანმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას.

საქართველო-რუსეთის მოლაპარაკება მოსკოვში დაიწყო იმ დროს, როცა სამხრეთ კავკასიაში (ამიერკავკასიაში) დიდი ქვეყნების (ინგლისის, თურქეთის, რუსეთის) ინტერესები გამიჯნული არ იყო. ანტანტასა და პირველ მსოფლიო ომში დამარცხებულ თურქეთს შორის დადებული **მუდროსის ზავით** (1918 წლის ოქტომბერი) სამხრეთ კავკასია (ამიერკავკასია) ინგლისის საოკუპაციო ზონად გამოცხადდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე ინგლისის ჯარები 1918 წლის დეკემბრიდან განლაგდნენ და იმთავითვე აქტიურად დაიწყეს ჩარევა როგორც საქართველოს, ისე სომხეთისა და აზერბაიჯანის საშინაო საქმეებში. ანტონ დენიკინის მოხალისეთა არმიის დამარცხების შემდეგ რუსეთმა არად ჩააგდო მუდროსის ზავის პირობები და 1920 წლის აპრილის ბოლოს აზერბაიჯანი დაიპყრო. აზერბაიჯანში რუსეთის შეჭრას წინ არ აღუდგა მუდროსის ზავით უკმაყოფილო თურქეთი. აზერბაიჯანის დათმობის სანაცვლოდ თურქეთმა რუსეთისაგან ანტანტის წინააღმდეგ მოსალოდნელ ომში თანადგომის გარანტია მიიღო. გამორიცხული არ იყო, რომ ანტანტის წინააღმდეგ მხარდაჭერის სანაცვლოდ თურქეთს რუსეთისათვის საქართველოც დაეთმო. გასარკვევი იყო მხოლოდ ინგლისის პოზიცია. ინგლისის პოზიცია კი მანამდე არ გაირკვეოდა, სანამ არ დამთავრდებოდა ომი გენერალ პეტრე ვრანგელის არმიასა და წითელ არმიას შორის, სანამ არ გამოიკვეთებოდა გამარჯვებული რუსეთ-პოლონეთის ომში.

საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება შედგება პრეამბულისა და თექვსმეტი მუხლისაგან. ხელშეკრულებაზე ხელმოწერის დღესვე, 1920 წლის 7 მაისს, გ. ურატაძემ და ლ. კარახანმა ხელი მოაწერეს დოკუმენტს – “Особое секретное дополнение к договору между Россией и Грузией”, რომელიც ორი მუხლისაგან შედგებოდა. რამდენიმე დღის შემდეგ, 1920 წლის 12 მაისს, ხელი მოაწერეს კიდევ ერთ დოკუმენტს – “Дополнительное соглашение к мирному договору между Россией и Грузией от 7 мая 1920 года”, რომელიც პრეამბულისა და სამი მუხლისაგან შედგებოდა. ორივე დოკუმენტი 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად გამოცხადდა. ამრიგად, 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება ორივე დამატებასთან ერთად შედგება ოცდაერთი მუხლისაგან. სამივე დოკუმენტს გ. ურატაძემ და ლ. კარახანმა ხელი ცალ-ცალკე მოაწერეს.

საქართველო-რუსეთის ხელშეკრულების **პირველი მუხლი** უაღრესად მნიშვნელოვანი იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისათვის, ქვეყნის საერთაშორისო აღიარებისათვის. ხელშეკრულებაში აღნიშნულია: “Россия безоговорочно признает независимость и самостоятельность Грузинского Государства и отказывается добровольно от всяких суверенных прав, кои принадлежали России в отношении к грузинскому народу и земле”. რა შეფარული მიზნებიც უნდა ჰქონოდა ხელშეკრულების დადების მომენტში რუსეთს, ყოველივე ამის აღიარება მაინც ქართული დიპლომატიის დიდ გამარჯვებად უნდა მივიჩნიოთ.

ქართული დიპლომატიის უდავო წარმატებად აღიქმება ასევე ხელშეკრულების **მეორე მუხლიც**: “Россия обязуется отказаться от всякого рода вмешательства во внутренние дела Грузии”.

მოლაპარაკების პროცესში რუსეთს საქართველოს მიმართ მნიშვნელოვანი ტერიტორიული პრეტენზიები არ წამოუყენებია. სახელმწიფო საზღვარი რუსეთსა და საქართველოს შორის ხელშეკრულების **მესამე მუხლის პირველი პარაგრაფით** ასე განისაზღვრა: “Государственная граница между Грузией и Россией проходит от Черного моря по реке Псоу до горы Ахахча, через гору Ахахча и гору Аганета и по северной границе бывших губерний Черноморской, Кутаисской и Тифлисской до Закатальского округа и по восточной границе этого округа до границы с Армений”.

თუ ზოგადად შევაფასებთ, ხელშეკრულების მესამე მუხლი, კერძოდ, მისი მეორე, მესამე და მეოთხე პარაგრაფები საქართველოსათვის გარკვეულ საფრთხეს შეიცავდა. კერძოდ, მესამე მუხლის მეორე პუნქტით საქართველოს ეკრძალებოდა კავკასიონის გადასასვლელების გამაგრება: “Все перевалы на означенной пограничной линии до первого января тысяча деватьсот двадцать второго года признаются нейтральными. Они не могут быть занимаемы войсками ни одной из обеих договаривающихся сторон и не могут быть ни одной из них укрепляемы”. კავკასიონის გადასასვლელებიდან ყველაზე მნიშვნელოვანის – დარიალისა და მამისონის – გადასასვლელების შესახებ ხელშეკრულების მესამე მუხლის მესამე პუნქტში აღნიშნული იყო: “На Дарьяльском перевале указанная в пункте 2 настоящей статьи нейтрализация будет распространена на протяжении перевала от Балты до Коби, на Мамисонском перевале от Зарамага до Они, а на всех прочих перевалах на пятиверстие в обе стороны от пункта прохождения границы расстояния”. როგორც ვხედავთ, ხელშეკრულების მესამე მუხლის მეორე და მესამე პუნქტების წყალობით რუსეთთან ომის შემთხვევაში საქართველო ძალზე მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა – რუსეთის არმია კავკასიონის გადასასვლელებს, მათ შორის სტრატეგიულად არსებითი დანიშნულების მქონეთ, ადვილად გადმოლახავდა.

ხელშეკრულების მესამე მუხლის მეოთხე პუნქტი გარკვეულწილად აქარწყლებდა იმავე მუხლის პირველ პუნქტს რუსეთსა და საქართველოს შორის სახელმწიფო საზღვრის დადგენის თაობაზე. მეოთხე პუნქტი რუსეთსა და საქართველოს შორის სახელმწიფო საზღვრის გავლების მიზნით შერეული კომისიის შექმნას ითვალისწინებდა: “Точное проведение государственной границы между обоеми договаривающимися сторонами будет произведено особой смешанной пограничной комиссией с одинаковым числом членов от обеих сторон. Результаты работы этой комиссии будут закреплены в особом договоре между обоеми договаривающимися сторонами”. ცხადია, რუსეთი ეცდებოდა სახელმწიფო საზღვრის დადგენის პერიოდში გარკვეული პრეტენზიები წამოეყენებინა საქართველოსათვის და უკან წაეღო ის, რაც დათმო ხელშეკრულების მესამე მუხლის პირველი პუნქტით.

**ვახტანგ გურული,**
**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი**

(დასასრული იქნება)

ხედვა შორიდან

წერილების გაგრძელება

**ომი „დამთავრდა“, მაგრამ ჩემი ნაცნობ-უცნობებისგან მაინც მომდის თანაგრძნობისა და გამამხნევებელი წერილები. წერილებიც და ცნობებიც. მაგალითად, იმის შესახებ, რასაც რუსეთის არც ერთი საინფორმაციო საშუალება არ აცხადებს: თურმე 11 სექტემბერი მართლმადიდებლური კალენდრით დაღუპული მეომრების ხსენების დღე ყოფილა.**

ამ დღეს ვოლგოგრადის ოლქის ქალაქში კალაჩ-ნა-დონუ წმინდა ნიკოლოზის ტაძრის მღვდელმა მამა **დმიტრი კლიმოვმა** ჯვაროსნული სვლა განახორციელა. დევიზი კი ასეთი გახლდათ: „კალაჩის მართლმადიდებლები – საქართველოში რუსი ჯარის შეყვანის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის კავკასიაში“. იმ დღეს 100-ზე მეტი ადამიანი, ძირითადად, ეკლესიის მრევლი, ტაძრიდან კალაჩის ცენტრალური პარკისკენ დაიძრა – მეორე მსოფლიო ომის დროს დაღუპული მეომრების მემორიალისკენ. პანაშვიდიც ჩატარდა და ერთობლივი ლოცვაც წაიკითხეს, მოიხსენიეს დაღუპულ ქართველთა, ოსთა და რუსთა სულები, თანაგრძნობა გამოუხატეს დაღუპულთა ჭირისუფალ ერებს. ლოცულობდნენ პატრიარქ ალექსის ლოცვა-კურთხევით, ღმერთს კავკასიაში მშვიდობას შესთხოვდნენ. მერე მამა დმიტრიმ იქადაგა, ისაუბრა საქართველოს თავსდამტყდარ უბედურებაზე, ჩეჩნეთის მიმართ რუსული პოლიტიკის ორმაგ სტანდარტებზე, ინგუშეთში მოჰამედ ევლოევის მკვლელობაზე: „თუ სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთს დამოუკიდებლობა ნამდვილად ეწადათ, ისინი თავად მოიპოვებდნენ მას. სუვერენიტეტი სხვა სახელმწიფოს მიერ არ მოიპოვება. ამას უკვე დამოუკიდებლობა კი არა, დამოკიდებულება ჰქვია.

რა გამოდის? ცხოვრობდნენ თავისთვის მშვიდობიანი ოსები და უცებ გიჟი სააკაშვილი თავს დაესხათ? საქმეთა ვითარება ასე მარტივად არაა. 8 აგვისტოსა და მისი შემდგომი მოვლენები არ უნდა ამოვგლიჯოთ ქართულ-რუსული,



მამა დმიტრი კლიმოვი

ქართლ-აფხაზური ომის ისტორიული კონტექსტიდან. ეს ჯერ კიდევ იქიდან დაიწყო, როცა ელცინმა საბჭოთა კავშირის რღვევის პროვოცირება მოახდინა და ეს რღვევა ახლაც გრძელდება. რუსეთს ძალიან ბევრი საშუალება ჰქონდა იმისა, რომ ამ მოვლენებზე სხვაგვარად ემოქმედა, საქმე ომამდე არ მიეყვანა.

მეუბნებიან, ეს ოსების განმათავისუფლებელი ომი იყოო... ლამის კულიკოვოს ბრძოლას ადარებენ. მაგრამ უკაცრავად, რა, რუსეთს საქართველო თავს დაესხა და ჩვენ თავს ვიცავდით? მეუბნებიან, ქუჩაში რომ მიდიოდე და დაინახო, როგორ დაესხა თავს ხულიგანი სხვას, არ დაეხმარებიო? რასაკვირველია, გვერდით არ ჩავივლი, მაგრამ განა იმ ხულიგანს უკან უნდა გავკიდებოდი, მისი ცოლის და შვილების საცემრად? წასვლისას კი, მის სახლსაც გადავწვავდი? სწორედ ასე მოიქცა რუსეთი. ყოფით ენაზე ეს ასე ითარგმნება – „ძალის არაპროპორციული გამოყენება“. ანდა ამ პასპორტების საკითხი! ჩვენ რა, სულელები ვგონივართ? რუსეთში მოქალაქეობის მიღება ძალიან რთულია. ოსებსა და აფხაზებს კი პასპორტებს ლამის ქუჩაში ურიგებდნენ. წარმოიდგინეთ, რუსეთში ისეთებიც არსებობენ, ვინც სერიოზულად აცხადებენ, რომ რუსეთმა ეს ომი იმისთვის დაიწყო, რომ თავისი მოქალაქეები დაეცვა. ასეთივე წარმატებით შესაძლებელია პასპორტები დაურიგდეს, მაგალითად, კონგოს რესპუბლიკის მოსახლეობას. მერე კი იქ ტანკები შეიყვანონ და დაიცვან თავიანთი ახალგამომცხვარი რუსები. უმრავლესობა არ ფიქრობს, მათ მხოლოდ მარტივი პასუხები სჭირდებათ. ან კი, ან – არა. ან თეთრი, ან შავი. სამწუხაროდ, ასე იყო და ასე იქნება მუდამ, ნებისმიერ ქვეყანაში. გაანალიზებას მხოლოდ ერთეულები ცდილობენ. თანაც ჩვენთან თაობიდან თაობაში სხვაგვარად მოაზროვნეთ – საუკეთესო ადამიანებს ანადგურებდნენ. ის, ვისთვისაც სულერთი არ იყო, სწორედ იმათ, ვისაც აზროვნება შეეძლო. ეს ხალხი ძირშივე გაანადგურეს – რევოლუციით; მერე 37 წლით; გადარჩენილები 1960 და 70-იანებში მოსპეს. „მტრის შვილებიც“ კი ბანაკებში ხვდებოდნენ. ამიტომ მოსახლეობის ამ ნაწილმა შთამომავლობა ვერ დატოვა. დარჩნენ სწორედაც რომ ჯალათების შვილები, იმათი, ვინც ციხეში ხალხს სვამდა, ხვრეტდა ანდა ტაშს უკრავდა ამას. ამიტომაცაა ეს ქვეყანა ასეთი. რუსეთი განსაბჭოებამდე ასეთი ნამდვილად არ იყო.

## დმიტრი ვოლჩეკი: მე რომ თვალი მხოლოდ რუსული საინფორმაციო საშუალებებისთვის მედევნებინა, ვიფიქრებდი, რომ ფაშისტური სახელმწიფო საქართველო ამერიკის კოლონიაა, სადაც მთელი ოპოზიცია ციხეში ზის

იმ დღეს აქციაზე ბევრი ჟურნალისტი გახლდათ, მათ შორის სამი - სატელევიზიო, მაგრამ საღამოს ახალი ამბების გამოშვებაში აჩვენეს ჩვენი აქციის მხოლოდ ზოგადი ხედი და დაამატეს, რომ კალაჩის მართლმადიდებლებს მშვიდობა უნდათ. მე კი საერთოდ ამომჭრეს. ნებისმიერი აქცია კარგავს თავის აზრს, თუ მის შესახებ არავინ იცის. ჰოდა, ასე იქმნება შთაბეჭდილება, რომ ყველა დუმს. არადა პროტესტის ხმა გაისმის ხოლმე – უბრალოდ იგი არავის ესმის.

* * *

ცნობილი მწერალი, პოეტი, მთარგმნელი, რადიო „თავისუფლების“, რუსული რედაქციის თანამშრომელი **დმიტრი ვოლჩეკი** პრაღიდან რუსული მედიის „პროფესიონალიზმის“ გამო გაკვირვებას ვერ მალავს: „იმ დღეებში რუსული სახელმწიფო მასმედიის (უპირველეს ყოვლისა, ტელევიზიაძ მდგომარეობაზე ის კი არ მეტყველებდა, რასაც ისინი მოსახლეობას აცნობდნენ, არამედ ის, რასაც მალავდნენ. პირველი საიდუმლო: ცნობები საქართველოს ტერიტორიიდან, უფრო სწორედ, ამ ცნობების არარსებობა. არავის არაფერი უთქვამს იმის შესახებ, რომ რუსული ჯარები შორს გასცდნენ სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთს, ქართულ ქალაქებს ბომბავდნენ, ძარცვავდნენ და კლავდნენ ადამიანებს. მეორე საიდუმლო: ის, რომ რუსეთი საერთაშორისო იზოლაციაში აღმოჩნდა და არც ერთმა ქვეყანამ, ნიკარაგუას გარდა, არ აღიარა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა. რუსული მედია ყველანაირად ცდილობდა ეჩვენებინა, რომ ამ კონფლიქტში რუსეთს ბევრი მომხრე ჰყავდა. მესამე საიდუმლო – როგორ დაშავდნენ ქართველები, რომლებიც სამხრეთ ოსეთში ცხოვრობენ. ძარცვაზე, მაროდიორობაზე, გადაწვაზე და ყველა ქართული სოფლების, ფაქტობრივ, განადგურებაზე რუსეთის ფედერალური არხები კრინტს არ ძრავდნენ. ასე რომ, რუს ობივატელს, რომელიც ინფორმაციას პროკრემლური მასმედიიდან იღებდა, ნებისმიერი ცნობა ძალიან დამახინჯებულად მიეწოდებოდა.

შოკში ჩამაგდო ამერიკული ტელეარხ FOX-ის სიუჟეტმა, რომელიც ისე გადმოითარგმნა რუსულ ენაზე, რომ ამერიკელი წამყვანი ზმუოდა, ილრინებოდა და ხრიალებდა. და ამას პუტინმა დაუჯერა. მე რომ თვალი მხოლოდ რუსული საინფორმაციო საშუალებებისთვის მედევნებინა, ვიფიქრებდი, რომ ფაშისტური სახელმწიფო საქართველო ამერიკის კოლონიაა, სადაც მთელი ოპოზიცია ციხეში ზის. მედია რუსეთში გაყოფილია – ერთის მხრივ რადიო „თავისუფლება“, „ეხო მოსკვი“, „ნოვაია გაზეტა“; მეორეს მხრივ – სახელმწიფო პრესა. სამწუხაროდ, ჩვენ ხალხზე ზემოქმედების ნაკლები საშუალება გვაქვს.

* * *

პეტერბურგელი ჟურნალისტი **სოფია კორნიენკო** ამჟამად ამსტერდამში ცხოვრობს. იგი ბენილუქსის ქვეყნებში რადიო „თავისუფლების“ რუსული რედაქციის შტატგარეშე კორესპონდენტია და რუს მსმენელს ჰააგის სასამართლოში მიმდინარე ჩვენთვის აქტუალური მოსმენების მიმდინარეობას აუწყებს. აი, რას მწერს იგი: „ჰოლანდიის საერთაშორისო სასამართლო – გაეროს ამგვარ 6 ორგანოს შორის ერთ-ერთია. ჰოლანდიას მასთან მხოლოდ ადგილმდებარეობა აკავშირებს. ამ სასამართლოს ავტორიტეტი დიდია.. ვფიქრობ, იმიტომაც, რომ ჰოლანდიაში ამდენი საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტია, განათლებული ხალხი აქ მიჩვეულია ძალიან აწონილ-დაწონილად მიუდგნენ თითოეულ კონფლიქტს. ზოგადად, ჰოლანდიაში ბავშვობიდანვე ეჩვევიან პატივისცემას სასამართლოს (არა მხოლოდ საერთაშორისოს მიმართძ და კანონის მიმართაც. კანონი აქ რელიგიაზე უფრო მაღლა დგას.

ჩვენდა სამწუხაროდ, შეინიშნება, რომ რუსეთს ლიბერალურად განწყობილი ადამიანები ნელ-ნელა ტოვებენ და მეც მათ შორის ვარ. რუსეთში თავს უმცირესობაში ვგრძნობ. ოდესღაც, 1990-იან წლებში ყველაფერი სხვაგვარად იყო. მიუხედავად ეკონომიკური გაჭირვებისა, იყო შეგრძნება იმისა, რომ კედლები გარშემო დაინგრა. ახლა კი რუსეთში ამ კედლებს კვლავ აშენებენ, როგორადაც ეს ვლადიმირ სოროკინის „ოპრიჩნიკის დღეშია“ აღწერილი.

ჩემი წარმოდგენა საქართველოზე ასეთია: გემრიელი ნაზავი ხელოვნების ელჩებისა – იოსელიანი, დანელია, სტურუა, ყანჩელი და გემრიელი სამზარეულოსი, რომელსაც ჩვენს რუსულ ოჯახში ძალიან აფასებდნენ. ყოველთვის, როცა პიტერს ვსტუმრობ, მე და ჩემი მეგობარი გოგონა ისააკის მოედანთან მდებარე პატარა ქართულ რესტორანში მივდივართ. თუმცა, ბოლო ორი წელი, იქ აღარაა არც „საფერავი“ და არც „ბორჯომი“... სხვათა შორის, ჩემი სახელიც კი სოფიკო ჭიაურელის საპატივცემულოდ დამარქვეს. ბებია და ბაბუა ჩრდილოეთ ოსეთში ცხოვრობდნენ.

რუსული საინფორმაციო საშუალებების უმრავლესობა პირდაპირ ან ირიბად (მფლობელებისა და აქციონერების გამოისობითძ კრემლის კონტროლის ქვეშაა მოქცეული. ისინი გარკვეულ ამოცანას ასრულებენ, ისეთივეს – როგორსაც საბჭოთა კავშირის დროს. მაგრამ დღეს არსებობს რამდენიმე არაანგაჟირებული მედია („ნოვაია გაზეტა“, „New Time“ძ, ასევე ინტერნეტი. მათი გამოყენებისთვის კი ნებაა საჭირო. ამის კი არც დრო და არც სურვილი არ აქვთ.

აგვისტოს ომი ჰოლანდიას უშუალოდ შეეხო, რადგანაც გორში 12 აგვისტოს ჰოლანდიელი ტელეოპერატორი სტან სტორიმანსი მოკლეს, როგორც „ჰიუმან რაითს ვოტჩმა“ დაადგინა, რუსული კასეტური ბომბის აფეთქების შედეგად. მაგრამ რუსეთი არ აღიარებს იმას, რომ მან დასახლებულ პუნქტებში ეს აკრძალული იარაღი გამოიყენა. მეჩვენება, რომ ამ ტრაგიკულმა შემთხვევამ უფრო მეტი ჰოლანდიელის ყურადღება მიიზიდა, ვიდრე იმან, რომ საქართველოს პრეზიდენტის მეუღლე ჰოლანდიელია. ეს გახლდათ პირველი სიკვდილი ჰოლანდიელი ჟურნალისტის 1999 წლიდან დღემდე. ისე, ზოგადად, ამ კონფლიქტისადმი ჰოლანდიელები ძალიან ინდიფერენტულად არიან განწყობილნი. მათ ცოტა იციან ამ რეგიონის შესახებ და ვერ ვიტყვი, რომ ომმა დიდად შეცვალა მათი დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს მიმართ. მოვლენები მასმედიაში რეგულარულად და საკმაოდ აწონილად



დმიტრი ვოლჩეკი

შუქდება, ამა თუ იმ მხარეს ყოველგვარი გადახრის გარეშე. პოლიტიკურად, ჰოლანდია მხარს არ უჭერს კონფლიქტის გამძაფრებას, წინააღმდეგია მისი ესკალაციისა, ასევე რუსეთისა და დასავლეთის ახალი დაპირისპირებისა.

სამაგიეროდ, რუსულ ახალ ამბებში საერთოდ არ იყო ინფორმაცია ქართული სოფლების დაბომბვის შესახებ. დიდხანს ასახელებდნენ ცხინვალში მშვიდობიან მოსახლეობას შორის 1200-2000 დაღუპულის რიცხვს. თითოეული სიცოცხლე ფასდაუდებელია, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ ვიღაცას სჭირდებოდა სწორედ ამ ციფრის დასახელება, რათა იგი რუსების გონებაში სამუდამოდ აღბეჭდოს. რაც მთავარია, პუბლიცისტთა შორის ცოტა თუ ვინმე გამოდიოდა ამ ომის წინააღმდეგ, პრინციპში, კონფლიქტის ესკალაციის წინააღმდეგ, რომელსაც (მომავალში სავარაუდოდძ კატასტროფული შედეგები ექნება მთელი მსოფლიოსთვის.

ამგვარი პროპაგანდა წარმოუდგენელია ჰოლანდიაში, რადგანაც აქ ძალიან ბევრი დამოუკიდებელი ტელეკომპანიაა (მხოლოდ საზოგადოებრივზე 20-ზე მეტი არხიაძ, არ არსებობს სახელმწიფო ტელევიზია. გარდა ამისა, ჰოლანდიელები გაზეთებს კითხულებენ, რომლებიც ასევე სხვადასხვაგვარია. მე ღრმად მწამს, რომ თავისუფალი პრესა მთავარი იარაღია სიბრიყვის, სიხარბისა და აგრესიის წინააღმდეგ. სწორედ თავისუფალი



ელენა ბუგესკოვა

პრესა დაეხმარა ამერიკელებს დაეძვებულიყვნენ და (იმედი ვიქონიოთ, რომ ეს ასეაძ გადაეხვიათ ბუში-ჩეინის კურსიდან, რომელიც არსაითკენ მიემართებოდა.

ვფიქრობ, რომ ამ კონფლიქტში უამრავი რუსული მედია-საშუალება ოფიციალური პროპაგანდის ინსტრუმენტად გამოიყენეს. ეს მის სინდისზე სამუდამოდ დარჩება. ზოგი ჟურნალისტი ისე გაერთო, რომ თავად ირწმუნა თავისივე თამაში. მეორეს მხრივ, მე არ მოვესალმები საქართველოს ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებას, საქართველოს ტერიტორიაზე რუსული ტელევიზიისა და ინტერნეტის დროებით გათიშვასთან დაკავშირებით. მე მჯერა აზრთა პლურალიზმისა და ამიტომ ყველა სახის მედიის საშუალების მისაწვდომობის აუცილებლობას ვემხრობი. ადამიანები ინფორმაციული ვაკუუმის პირობებში აგრესიულები და ბრმები ხდებიან. მაგრამ როცა არჩევანის საშუალება აქვთ, ბევრი ფიქრს იწყებს.

მე მრცხვენია ჩემი ქვეყნის. უბრალოდ მინდა, რომ საქართველოში იცოდნენ: რუსეთში საკმაოდ არიან ადამიანები, რომელთა ხმა რუსულ მედიაში არ ისმის; რომ მათ არ უნდათ ომი; საქართველოსთან მტრობა არ უნდათ. ვთვლი, რომ ერთადერთი გამოსავალი არსებული მდგომარეობიდან არის განათლება. მეტი ინფორმაცია – ინტერნეტში, ჟურნალებში. მთავარია, ერთმანეთთან საუბარი არ შევწყვიტოთ.

* * *

აი, რა მომწერა დანიიდან ჩემთვის უცნობმა რუსმა ქალბატონმა **ელენა ბუგესკოვამ**: „ჩემო უცნობო ქართველო მეგობარო! მინდა იცოდე, რომ მე, როგორც რუს ადამიანს, ძალიან მრცხვენია და გული მტკივა იმის გამო, რასაც ჩემი ქვეყნის ხელმძღვანელობა (რომელიც მე არ ამირჩევიაძ საქართველოში სჩადის. მთელი ცივილიზებული სამყარო შოკშია, მაგრამ დასავლეთის ქვეყნების ხელმძღვანელები ვერა და ვერ ბედავენ რუსეთის ლიდერს პროტესტი პირდაპირ სახეში მიახალონ. მე მრცხვენია, რომ რუსული გაზეთები (მცირედის გამოკლებითძ მხარს უჭერენ ამ სამარცხვინო „ჰუმანიტარულ აქციას“, მე მტკივა, რომ ჩემი ხალხი ასე ადვილად წამოეგო ამ საშინელ ტყუილს და რუსეთის ხელმძღვანელობასა და „სამშვიდობოებს“ მხარს უჭერს. ეტყობა, ეს ქვეყანა ჯერ ვერ დაიხრჩო სისხლში, ეტყობა მას ჩეჩნეთი არ ჰყოფნის. და ამ ხალხს კიდევ უკვირს, რომ იმ რესპუბლიკებმა, რომლებიც სსრკ-ის შემადგენლობაში შედიოდნენ, ნატოს წევრობა მოინდომეს! ჯერ კიდევ არ განელებულა 1956 წლის უნგრეთის, 1968 წლის ჩეხოსლოვაკიის, 1991 წლის ლიტვის მოგონებები. ამ სიის გაგრძელება შესაძლებელია. ახლა პატარა საქართველო აღმოჩნდა მტერი, მისი ლამაზი და შესანიშნავი ხალხით, რომელიც მე ძალიან მიყვარს და რომელსაც დიდ პატივს ვცემ.

მახსენდება თბილისში ჩემი მოგზაურობა, ქართული სტუმართმოყვარეობა, დაუვიწყარი ბუნება და, უპირველეს ყოვლისა, შეუდარებელი ქართველი ხალხი და მისი უდიდესი კულტურა.

მზარავს იმის გაფიქრებაც კი, რომ ჩემი ქვეყნის ჯარმა ამდენი ნგრევა გამოიწვია, რუსი სამხედროები მაროდიორობდნენ და ქართველი ხალხი იტანჯებოდა. ძალიან მაწუხებს „მოსკოველი“ ქართველების ბედი (ისინი შორს არიან თავისი ახლობელ-ნათესავებისგანძ. ამ დროს კი რუსეთი ცრუპატრიოტიზმითაა შეპყრობილი, იგი საშინელი და არაპროგნოზირებადია.

მე უკვე 18 წელია დასავლეთში ვცხოვრობ – კოპენჰაგენში. მინდა დავარწმუნო ქართველი ხალხი, რომ უბრალო დანიელების სიმპათიები მთლიანად საქართველოს მხარესაა – ეს ჩანს გაზეთებისა და ჩემი დანიელი მეგობრებისა და ნაცნობების რეაქციით. იცოდეთ, რომ თქვენ არა ხართ მარტონი, თუმცა არ არსებობს დასავლეთის მასობრივი მხარდაჭერა, მაგრამ რუსეთის საელჩოს წინ მრავალი აქცია მოეწყო., მოსკოვშიც კი იყო საპროტესტო აქციები არა მარტო ამ ომის, არამედ ზოგადად პუტინ-მედვედევის მიერ ინიცირებული ომების წინააღმდეგ. ბევრი რუსი თქვენს მხარესაა, მაგრამ დღევანდელი რუსეთის ქუჩებში გამოსვლას ბევრი ვერ ბედავს.

საქართველოვ, მე შენ მიყვარხარ, მიყვარს შენი ხალხი, და მწამს, თავისუფალი, დამოუკიდებელი და აყვავებული საქართველოსი! გვაპატიეთ!

**ია მერკვილაძე,**
**„სრ“ საკორ. ნიუ-იორკი, აშშ**

◎ მაძიებლები

# ანკარა წყაროშია ჭეშმარიტება...




**საქართველოს ისტორიის უმეტესი ნაწილი ენის, მამულისა თუ სარწმუნოების დასაცავად გამართული ომებია, გამუდმებული ბრძოლა შინა თუ გარე მტრის წინააღმდეგ, იშვიათად მარცხდებოდა ქართველი კაცი და არც რუსების ბოლო შემოსევის შემდეგ დამარცხებულა, რადგან მთელი მსოფლიო დაგვიდგა გვერდით. ბრძოლაში თავი ისახელეს ჩვენმა ჯარისკაცებმა, საქართველოს თითოეულმა მოქალაქემ, შინაგან საქმეთა სამინისტრომ...**

დღეს სკეპტიკოსებიც კი დარწმუნდნენ რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო აქტიურად მონაწილეობს ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში და იგი ამ პროცესებში გვევლინება არა მხოლოდ როგორც კონკრეტული ძალისმიერი ორგანო, არამედ როგორც თანამდგომი და მაკოორდინირებელი სტრუქტურა, რომელიც ხშირად თავად ასრულებს გარკვეულ აღმშენებლობით სამუშაოებს. სწორედ ამის შედეგი გახლავთ ის, რომ საქართველოში დღეს იგება მაღალი ხარისხის ავტომაგისტრალები და შენდება ინფრასტრუქტურები. ისიც ფაქტია, რომ სწორედ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვედანაყოფები შეეგებნენ პირველები სამაჩაბლოში შემოჭრილ რუს აგრესორებს და ათ წუთში დიდი ზიანი მიაყენეს რუსთა საამაყო 58-ე არმიას.

ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ საქართველოს პრეზიდენტმა სწორედ შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობას, კერძოდ მინისტრ ვანო მერაბიშვილს დაავალა, რომ ვიდრე რუსი აგრესორებისაგან ე.წ. „ბუფერული ზონები“ გაიწმინდება, 2008 წლის 7 ნოემბრამდე, სიცივეების დადგომამდე, აშენდეს ათასამდე საცხოვრებელი სახლი და შესაბამისი ინფრასტრუქტურები სამაჩაბლოდან, დროებით ადგილნაცვალი პირებისათვის. ეს არის ქართლის სოფლები: ბერბუკი, შავშები, კარალეთი-1, კარალეთი-2, კარალეთი-3, მოხისი, ხურვალეთი, სკრა, თელიანი, მეტეხი, ალაიანი, ახალსოფელი, წეროვანი, წილკანი, ფრეზეთი, წინამძღვრიანთკარი.

საკმაოდ რთული გეოგრაფიაა, ბინებისა და ინფრასტრუქტურების მშენებლობის მასშტაბებსა და შემჭიდროებულ ვადებზე რომ არაფერი ვთქვათ. მართალია, ეს ახალსახლობები დროებითია და ადგილნაცვალი პირები მალე დაუბრუნდებიან მშობლიურ ადგილებს, მაგრამ დროებით საცხოვრებლებში განთავსებულ ადამიანებს აუცილებლად სჭირდებათ სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურეობის ობიექტები, და რაც მთავარია, სასმელი და სარწყავი წყალი, რომლის მოძიებითი სამუშაოები უნდა ჩაატაროს საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ცენტრმა „საინჟგეომ“.

ამ სტრუქტურამ სამაჩაბლოს ქართული სოფლების ტერიტორიებზე სასმელი წყლის მისაღებად ჰიდროგეოლოგიური სამუშაოები ჯერ კიდევ მაშინ ჩაატარა, როცა ე.წ. „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის“ თვითმარქვია პრეზიდენტმა კოკოითმა, სამაჩაბლოს ქართულ სოფლებს სასმელი და სარწყავი წყალი გადაუკეტა. სწორედ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანადგომითა და ხელშეწყობით ჩაატარა „საინჟგეომ“ სასმელი წყლის მისაღები ჰიდროლოგიური სამუშაოები თამარაშენში, ხეითში, ზემო აჩაბეთში, ქვემო აჩაბეთში, ქურთაში, ძარწემში და ძემერტში. ასევე შსს ძალების დაცვით და ხელშეწყობით ჩატარდა ჰიდროგეოლოგიური სამუშაოები ზემო აფხაზეთის სოფლებში ჩხალთასა და აჟარაში, მთლიანად კოდორის ხეობაში, სადაც „საინჟგეოს“ სპეციალისტებს ხშირად ტყვიების ზუზუნში უწევდათ მუშაობა.

რუსებმა და მათმა მარიონეტმა სეპარატისტებმა ან არ იციან, ან არ სურთ გაიგონ, რომ უბრალო ადამიანების მხოლოდ ეთნიკური ნიშნით ერთმანეთისაგან დიდი ხნით პოლიტიკური და ეკონომიკური განმხოლოება პრაქტიკულად შეუძლებელია, რადგან ეს ადამიანები საუკუნეთა განმავლობაში შეერწყმნენ ერთმანეთს, ლხინს თანაბრად იზიარებდნენ, ჭირსა და მტერთან ბრძოლაში კი ზურგს უმაგრებდნენ ერთურთს და ძმობისა და მეგობრობის პრინციპების მკაცრი დაცვით თანაარსებობდნენ. ამიტომაც არის რთული ასეთ ურთიერთობებში ეროვნებათა გამხლეჩი პოლიტიკური სოლის ჩაჭედება. და თუ რუსებმა დროებით მაინც მოახერხეს ქართველი, აფხაზი და ოსი საზოგადოების გარკვეული ნაწილის ერთმანეთზე გადაკიდება, ეს დროებითი სინდრომია და ამ ნაძალადევ პირისპირ დგომას დიდი დრო არ უწერია.

„საინჟგეოს“, რომელსაც დიდად ეხმარებიან შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ოთარ გოგოძე და საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელი დირექტორი ლაშა გოცირიძე, პრეზიდენტის რწმუნებულები მცხეთა-მთიანეთში ცეზარ ჩოჩელი და შიდა ქართლში ლადო ვარძელაშვილი, საკმაოდ რთული ამოცანის შესრულება მოუწევს — სულ რამდენიმე დღე უნდა მოანდომონ მისმა





სპეციალისტებმა 11 ჭაბურღილის გაჭრას.

სწორედ ბუნების სიკეთეთა მოსაპოვებლად ჩამოყალიბდა საქართველოს საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ცენტრი „საინჟგეო“.

მისი სამუშაო დღე იწყება არა მხოლოდ ოფისში, ჯიქიას ქუჩაზე, არამედ მთელ საქართველოში და მის ფარგლებს გარეთაც. ურთულეს ძსლადაა მოდებული მთელ საქართველოში. „საინჟგეოს“ სამოქმედო უბნები აქვს სამაჩაბლოში, სამეგრელოში, ქვემო ქართლში, რაჭაში, სამცხე-ჯავახეთში, სვანეთში.

უაღრესად აქტუალურ გლობალურ პრობლემებსაა შეჭიდებული „საინჟგეო“. ავიღოთ ერთ-ერთი მათგანი — მსოფლიოში კლიმატის ცვლილებების გლობალური პრობლემები და კიოტოს ოქმის პერსპექტივები. ამ პრობლემამ განსაკუთრებით იჩინა თავი უკანასკნელ პერიოდში, რამაც მსოფლიოს 172 სახელმწიფო აიძულა მიეღო კლიმატის დაცვის ჩარჩო კონვენცია და მისი აღსრულების კიოტოს ოქმი.

„საინჟგეოს“ შესრულებული აქვს ათასზე მეტი სპეციალური შეკვეთა. ამგვარი წარმატების საწინდარი გახლავთ ის, რომ იგი დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით. ესენი არიან: „საინჟგეოს“ დირექტორი, ინჟინერ-გეოლოგი ნუგზარ გოგუა, ინჟინერ-გეოლოგი სერგო გაბუნია, წამყვანი სპეციალისტები გაბრიელ ჭინჭარაული, გელა აღლაძე, სოსო ჯიჯელავა, ზაქარია გოგებაშვილი და მიხეილ გაგუა, ტოპოგრაფი მურმან გალდავა, ჯგუფის უფროსი ვაჟა ქართველიშვილი, მუშები კობა ბარნაბიშვილი, ვახტანგ ქართველიშვილი და სხვები და სხვები.

ქართლის სოფლებში სასმელი წყლის მისაღები ჰიდროგეოლოგიური სამუშაოები უკვე დაიწყო. ეჭვი არ გვეპარება, რომ რამდენიმე კვირაში ჭაბურღილებიდან ანკარად წყალი ამოხეთქავს და დროებით ადგილნაცვალ მოსახლეობას სასმელი წყალიც უხვად ექნება და სარწყავიც. დაიმედებულად იფუსფუსებს ქართველი კაცი ეზო-კარში, მის კუთვნილ მოსავალს აღარავითარი საფრთხე აღარ დაემუქრება. სულ მალე ბალაფშები, კოკოითები და მათი რუსი თანამზრახველები ვეღარასოდეს გადაუკეტავენ ქართველებს, ოსებსა და აფხაზებს სანუკვარ სასმელ წყალს და ქართულ ჰაერს.

**როლანდ ჯალაღანია**

◎ მომხმარებელს აბუჩად იგდებენ

# გირჩევთ, ამ მაღაზიებს არ გაეკაროთ

**პირდაპირ უნდა ითქვას, დღეს საქართველოს მოსახლეობა ყოფნა-არყოფნის ზღვარზეა. ტარიფების, ფასების კატასტროფულმა ზრდამ პროდუქტებზე, მომსახურებაზე, ტრანსპორტზე, კავშირგაბმულობაზე, გაზზე, ელექტროენერგიაზე, წყალზე, ყოველდღიურად მზარდმა ინფლაციამ და სხვა ფაქტორებმა ხალხი გაუსაძლის მდგომარეობაში ჩააყენა.**

ამას ემატება მომხმარებელთა უფლებების დარღვევისა და აბუჩად აგდების ფაქტები, მოვაჭრეთა უხეშობა და თავაშვებულობა, კანონებისა და ნორმატიული აქტების უცოდინარობა. მათმა დიდმა ნაწილმა ისიც კი ვერ შეიგნო და შეიცნო, თუ რა ფუნქცია-მოვალეობები აკისრიათ მომხმარებელთა უფლებების დაცვის საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და ასოციაციას. ამიტომ იძულებული ვართ მათ კიდევ ერთხელ გავაცნოთ **„მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ კანონის მოთხოვნები, რომლის 33-ე მუხლში სიტყვა-სიტყვით ჩაწერილია: „მომხმარებელთა საზოგადოებრივი გაერთიანებები უფლებამოვალენი არიან მონაწილეობა მიიღონ პროდუქციის უსაფრთხოების მოთხოვნათა შესაბამისი სტანდარტების შემუშავებაში. მოაწყონ პროდუქციის ხარისხისა და უსაფრთხოების დამოუკიდებელი ექსპერტიზა“, ხოლო „დამამზადებელი (გამყიდველი) ვალდებულია მომხმარებელს მიაწოდოს აუცილებელი უტყუარი და სრული ინფორმაცია პროდუქციის შესახებ, რაც მას მისცემს სწორი არჩევანის შესაძლებლობას“** (მუხლი 6ძ. იგივე კანონი პროდუქციის დამამზადებელს და გამყიდველს ავალდებულებს მომხმარებელს და მისი უფლებების დამცველ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მიაწოდონ ინფორმაცია: **პროდუქციის დასახელების, მისი დამამზადებლის საფირმო სახელწოდების და მისამართის, იმ ქვეყნის დასახელება, სადაც დამზადებულია პროდუქცია, საქონლის ვარგისიანობის ვადა, წონა და მოცულობა, კალორიულობა, ძირითადი სამომხმარებლო თვისებების ნუსხა, ჯანმრთელობისათვის მავნე ნივთიერებათა გამოყენებული საკვებდანამატების სია და ა.შ. ამასთან, ინფორმაცია უნდა მოეწოდოს ქართულ ენაზე.**



მაგრამ რა აზრი აქვს კანონში ყოველივე ამის ჩაწერას, თუ მან, ვინც უნდა შეასრულოს კანონის ეს მოთხოვნები, ყველაფერი ფეხებზე დაიკიდა? არადა, ზუსტად ასე გამოდის — სავაჭრო ობიექტების ზოგი თავგასული მეპატრონე თუ გამყიდველი, გარდა ამისა, რომ კანონს არ იცნობს, ამ კანონის დამცველებსაც არ უსმენს, არ აძლევს საშუალებას, მოიპოვონ ინფორმაცია მათ ობიექტში შექმნილი მდგომარეობის შესახებ. ინფორმაციას ვინ ჩივის, ისინი არც თუ იშვიათად, ლანძღვა-გინებით, მუქარითა და შანტაჟის გამოყენებით ერეკებიან ობიექტიდან მომხმარებელთა და ადგილობრივ მეწარმეთა უფლებების დაცვის ეროვნული ასოციაციის ექსპერტებს.

იხ. 9 გვ.

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# მოსკოვი თავისთვის მშვიდობისმყოფელის როლს ითხოვს



**დნესტრისპირეთს თავისუფლად შეიძლება ენდო. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის მე-18 წლისთავამდე რამდენიმე დღით ადრე, ტირასპოლიდან მოვიდა მილოცვა და სოლიდარობის გამომჟღავნების წერილი.** მისი გამომგზავნი იყო დნესტრისპირეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო, რომელსაც იშვიათად აქვს შესაძლებლობა იქონიოს საგარეო-პოლიტიკური კონტაქტები. ვინაიდან, სამხრეთ ოსეთისგან განსხვავებით, რომელმაც მიიღო საერთაშორისო აღიარება რუსეთისა და ნიკარაგუას სახით, დნესტრისპირეთის აღიარებას არავინ ჩქარობს.

ოფიციალურად რეგიონი უკრაინის საზღვართან იმყოფება, იგი დღემდე მოლდოვას ეკუთვნის. ეს არის ერთ-ერთი ეგრეთ წოდებული „გაყინული კონფლიქტი“ ყოფილი საბჭოთა იმპერიის ტერიტორიაზე. როდესაც სსრ კავშირის დაშლის შემდეგ მოლდოვა გახდა დამოუკიდებელი, დნესტრისპირეთმა არ ისურვა მის შემადგენლობაში ყოფნა და გამოეყო მას მოსკოვის მხარდაჭერით. იმ მომენტიდან მისი სტატუსის საკითხში ბევრი არაფერი შეცვლილა, მაგრამ ამჟამად, როგორც ჩანს, შოკური დამბლა გადის საქართველოში ომის დენთის კვალის გავლენით.

დნესტრისპირეთის პრორუსული ხელმძღვანელობა ვარაუდობს, რომ იგი მიიღებს თავის აღიარებას სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის შემდეგ. და მართლაც, რამდენიმე პარალელი აშკარაა. დაახლოებით 1200 რუსი მშვიდობისმყოფელი ოფიციალური სამშვიდობო კონტინგენტის ჩარჩოებში განლაგებულია თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ტერიტორიაზე, რომელიც, როგორც ადრე, თავს გრძნობს კრემლთან ახლო ურთიერთობაში: სამშვიდობოები – რუსეთის გარანტიაა. მოსახლეობის ლომის წილი რუსულად ლაპარაკობს, მოლდოვის ხელისუფლებასთან კი დნესტრისპირეთმა ყველა ურთიერთობა გაწყვიტა. „ჩვენ არასოდეს გავხდებით მოლდოვის ნაწილი“, – განაცხადა დნესტრისპირეთის „თავდაცვის მინისტრის მოადგილემ“ ვლადიმერ ატამანიუკმა.

„კავკასიაში შექმნილი სიტუაციის გამო რუსეთი ჩვენი ქვეყნისთვის უშუალო საფრთხეს წარმოადგენს“, – განაცხადა მოლდოვის დეპუტატმა ვლად ფილატმა. ბევრი პოლიტიკოსი და ექსპერტი კიშინიოვში შიშობს, რომ რუსეთი მოლდოვაში საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, რომელიც გაისად უნდა გაიმართოს, აღიარებს დნესტრისპირეთის დამოუკიდებლობას. ოფიციალური მოსკოვი უარყოფს ამგვარ შესაძლებლობას. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელი სერგეი ლავროვი აცხადებს, რომ რუსეთის მოქმედება სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში არ იქნება პრეცედენტი; ეს შეეხება როგორც დნესტრისპირეთს, ისე მთიან ყარაბახს.

ერთი მხრივ, ეს გასაგებიცაა, ვინაიდან სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთისაგან განსხვავებით, რუსეთს არ აქვს საერთო საზღვარი დნესტრისპირეთთან. მეორე მხრივ, მოსკოვს არ შეუძლია დიდხანს იდგეს განზე. ამას წინათ პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა თავის სოჭის რეზიდენციაში მიიწვია ერთიმეორის მიყოლებით მთავარი მოქმედი პირები: მოლდოვის პრეზიდენტი ვლადიმერ ვორონინი და დნესტრისპირეთის ლიდერი იგორ სმირნოვი. როგორც რუსეთის გაზეთები ვარაუდობდნენ, მედვედევს სურს გადაჭრას კონფლიქტი რაც შეიძლება ჩქარა, რათა ნატოს ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების სამიტისათვის, რომელიც დეკემბერში უნდა გაიმართოს, აჩვენოს თავისი უნარი კონფლიქტების მოწესრიგებაში. რასაკვირველია, მედვედევს ამის გაკეთება უნდა თავისი პირობებით.

ეს პირობები კი ასე გამოიყურება: დნესტრისპირეთი უარს ამბობს დამოუკიდებლობაზე და რჩება მოლდოვის ნაწილად, ამ დროს ღებულობს ავტონომიის ფართო უფლებებს. პასუხად კიშინიოვი კისრულობს ვალდებულებას, შეინარჩუნოს სამხედრო ნეიტრალიტეტი და თანახმაა რუსი სამხედროების დნესტრისპირეთში ყოფნაზე. ამჟამად მოლდოვა თანამშრომლობს ნატოსთან პარტნიორობის პროგრამის ჩარჩოებში, ჩრდილოატლანტიკური ალიანსი კი არაორაზროვნად ითხოვს რუსი ჯარების გამოყვანას დნესტრისპირეთიდან. მოლდოვის მიერ ნატოს ამბიციებზე უარის თქმა – ეს არის მინიმალური ფასი, რასაც მოსკოვი ითხოვს.

კიშინიოვი დაინტერესებულია კონფლიქტის დამთავრებით და კიდევ უფრო მეტად, ვიდრე ნატო, ქვეყანა ისწრაფვის ევროკავშირისკენ, რომელთანაც დღეისათვის დაკავშირებულია საზღვარგარეთის ბიზნესის ნახევარზე მეტი. ურთიერთობა რუსეთთან ძალიან გაუარესდა მას შემდეგ, რაც ორი წლის წინათ მოსკოვმა შეწყვიტა ღვინის იმპორტი ამ პატარა ქვეყნიდან, რომელიც ისედაც ევროპის ყველაზე ღარიბი ქვეყნების რიცხვში იმყოფება. ამასთან დაკავშირებით მოლდოვა დაბეჯითებით მოითხოვს, რომ ევროკავშირი მაღალ დონეზე ჩაერთოს სამშვიდობო მოწესრიგების მოლაპარაკებებში, რუსეთის სახელით ხომ თავად პრეზიდენტი მედვედევი გამოდის.

**ფრანკ ნინ გუიზენი**

**Süddeutsche Zeitung**

# საქართველოს ეკონომიკა ომისგან დაზარალდა, მაგრამ გაუძლო

**საქართველოსა და რუსეთს შორის ამასწინანდელი ომის დროს რუსი ჯარისკაცები ავიდნენ სიმაღლეზე, სადაც იყო განთავსებული უდიდესი ქართული ინტერნეტ-პროვაიდერი, და ხელყუმბარებით გაანადგურეს გადამცემი აპარატურა, გამორთეს ორი მილიონი ადამიანი ქვეყანაში ტელეგადაცემებისა და ტელეფონებით სარგებლობის შესაძლებლობიდან.**



ამ მოვლენების შემდეგ თვეზე მეტი გავიდა, ხოლო კომპანია „კავკაზ ონლაინი“ ძველებურად ებრძვის ამ დარბევის ეკონომიკურ შედეგებს. პროვაიდერის გენერალური დირექტორი მამია სანადირაძე ამბობს, რომ ამჟამად, როდესაც ინტერნეტში შესვლის აღდგენაზე დაიხარჯა 50 მილიონი დოლარი, მას ეშინია, რომ ვერ ჩაეტევა გიგანტური ტელესაკომუნიკაციო ქსელის მშენებლობისთვის გამოყოფილ სახსრებში. ქსელმა უნდა მიაღწიოს დასავლეთის ევროპას.

პროექტის დამთავრებას გეგმავდნენ ოქტომბრისთვის, მაგრამ იმის გამო, რომ ამერიკელი ინჟინრები, რომლებიც დაქირავებულ იყვნენ კაბელის ჩაწყობისთვის წყალქვეშა მონაკვეთზე, შიშობენ საქართველოში დაბრუნებას და სამუშაოების დაწყებას. სანადირაძის გაანგარიშებით, გაცდენის თითოეული თვე მას ერთი მილიონი დოლარი უჯდება.

ომამდე საქართველო, რომლის მოსახლეობა შეადგენს 4,6 მილიონ კაცს, თავისთავს აცხადებდა კავკასიის ეკონომიკურ ვეფხვად – ტელეგენური და ბიზნესის განვითარებაზე ორიენტირებული პრეზიდენტით მიხეილ სააკაშვილით, კვალიფიციური მუშაკებით, 12-პროცენტიანი წლიური ზრდით და უცხოური ინვესტიციებით, რომელთა მოცულობა შარშან ორჯერ და მეტად გაიზარდა და მიაღწია თითქმის 2 მილიარდ დოლარს. ამჟამად კი საქართველოს ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობა დიდი გამოცდის წინაშეა.

ომი თავზარდამცემი აღმოჩნდა საქართველოს ეკონომიკისთვის. საომარი მოქმედებების შემდეგ გადაიკეტა სატრანსპორტო მარშრუტები საქართველოს შავი ზღვის ძირითად ნავსადგურ ფოთსა და ქვეყნის დედაქალაქ თბილისს შორის. შედეგად წარმოიქმნა შეფერხებები ზოგიერთი საქონლის მიწოდებაში, დაწყებული ელექტროენერგიიდან და დამთავრებული ტუალეტის ქაღალდით, რის შედეგადაც ათობით იმპორტიორი იძულებული გახდა დაერღვია კონტრაქტები. ქვეყნის საფონდო ბაზარი ფსკერისკენ დაეშვა. რამდენიმე ათეულმა ათასმა ქართველმა მოხსნა ფული თავიანთი საბანკო ანგარიშებიდან, ქვეყნის უდიდესი ბანკიდან „საქართველოს ბანკიდან“ გატანილი იქნა დაახლოებით 165 მილიონი დოლარი.

ამავე დროს, გამანადგურებელი დარტყმა მიიღო ერთ დროს საქართველოში აყვავებულმა ტურიზმის ინდუსტრიამ. რუსმა ჯარებმა ცეცხლგამჩენი ბომბებით გაანადგურეს ბუნებრივი ტყეები და ულამაზესი შავიზღვისპირა კურორტები ძირითადად უქმად იყო.

მიუხედავად ზარალისა, მსოფლიო საფინანსო კრიზისის გაღრმავებისა, ქართველი ეკონომისტები და ადგილობრივი პოლიტიკური ხელმძღვანელობა ამტკიცებს, რომ ქართულმა ეკონომიკამ აჩვენა თავისი საკმაო ძლიერი სიცოცხლისუნარიანობა. პოლიტიკური სისტემაც სტაბილურად შენარჩუნდა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ლადო გურგენიძემ, რომელმაც წარსულში მიიღო გამოცდილება ლონდონის საინვესტიციო ბანკში, განაცხადა, რომ საქართველოს ინფრასტრუქტურა ომის შედეგად დაზარალდა დაახლოებით ერთი მილიარდი დოლარის ოდენობით – მაგრამ ეს ზარალი წარმატებით იქნება კომპენსირებული 2 მილიარდი ერთობლივი მატერიალური დახმარებით, რომელიც ქვეყანამ მიიღო შეერთებული შტატებისა და ევროკავშირისგან.

გურგენიძემ აღნიშნა აგრეთვე, რომ საქართველო, რომელიც იმყოფება რეგიონში, განთქმული რომ არის შეთქმულებებითა და რევოლუციებით, ვერ ჩაითრიეს უკანონობასა და ქაოსში, თუმცა რუსული ტანკები სულ რაღაც ნახევარი საათის სავალზე იმყოფებოდნენ დედაქალაქიდან. „ჩვენ განვიცადეთ არასასიამოვნო შედეგებს, რომელიც რყევამ მოგვაყენა, – თქვა მან. – მაგრამ არ შეიმჩნეოდა არც მუშტრული აჟიოტაჟი, არც მარაგების სასწრაფო შექმნა, არც ინვესტიციების დიდმასშტაბიანი გადინება“.

და მაინც ერთ-ერთი დიდი მსხვერპლი, რაც ქვეყანას ომმა მოუტანა, ეს არის დასავლელი ინვესტორების ნდობის დაკარგვა. ემი დენმანის, საქართველოში ამერიკის სავაჭრო პალატის ხელმძღვანელის სიტყვებით, რომელიც წარმოადგენს 130 უდიდეს უცხოურ ინვესტორს, რუსეთის ჯარების ყოფნამ საქართველოს ტერიტორიაზე დიდი ხნით დააფრთხო უცხოელი ინვესტიციები.

რუსეთმა თანხმობა განაცხადა საქართველოდან ჯარების გაყვანაზე ათი დღის განმავლობაში მას შემდეგ, რაც იქ ჩავა ევროკავშირის სამეთვალყურეო მისია (საორიენტაციოდ – ამ ოთხშაბათს.ძ. მაგრამ დღემდე ჯარები გაყვანილია მხოლოდ ნაწილობრივ, კრემლი კი დაჟინებით მოითხოვს თავის სამხედრო ყოფნის შენარჩუნებას სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში.

შეიძლება ისეც აღმოჩნდეს, რომ ომმა მოუსპოს საქართველოს სურვილი მის ტერიტორიაზე ალტერნატიული ენერგოშემცველების მარშრუტის გაყვანაზე. ამერიკის შეერთებული შტატები და ევროკავშირი მოითხოვენ ნავთობსადენ „ნაბუკოს“ მშენებლობას, რომლის მეშვეობითაც ევროპაში შემოვა ბუნებრივი გაზი ცენტრალური აზიიდან, თანაც მარშრუტის მნიშვნელოვანი ნაწილი განთავსდება საქართველოს ტერიტორიაზე.

**დენ ბილეფსკი**

**The New York Times**

*(რედაქციისაგან: უცხოეთის პრესის მასალები იბეჭდება შემოკლებით).*

## ს.ს.„ეგრისის“ აქციონერთა საყურადღებოდ

**მოგახსენებთ, რომ 2008 წლის 20 ოქტომბერს დღის 12 საათზე, ს.ს. „ეგრისის“ მისამართზე – ჯიქიას ქ.№16, გაიმართება ს.ს. „ეგრისის“ აქციონერთა მორიგი საერთო კრება.**
**სააღრიცხვო დღედ დანიშნულ იქნა 2008 წლის 23 სექტემბერი.**

**შემდეგი დღის წესრიგით:**

1.ს.ს.„ეგრისის“ რეორგანიზაცია და მასთან დაკავშირებული საკითხები.

აქციონერებს შეუძლიათ შეამოწმონ თავიანთი კრებაში მონაწილეობის უფლება დამოუკიდებელ რეგისტრატორ „კაპიტალ-რეგისტრში“ შემდეგ მისამართზე – ქ. თბილისი ი. ჭავჭავაძის გამზ.55 ტელ: 23 03 84.

**სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ა. იაშვილი**

## სს „ელმავალმშენებელი“ 2008 წლის 1 ოქტომბრიდან აცხადებს აუქციონს

სს „ელმავალმშენებელის“ ბალანსზე რიცხული ყოფილი სახანძრო დეპოს შენობა-ნაგებობის (საერთო ფართი 430,21 კვ.მ.ძ და მასზე დამაგრებული მიწის ნაკვეთის (561 კვ.მ. გაყიდვაზეძ.

ყოფილი სახანძრო დეპოს შენობა-ნაგებობის და მასზე დამაგრებული მიწის საწყისი ფასია 141000 ლარი დღგ-ს ჩათვლით.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ მონაწილეობა აუქციონში შესაბამისი განაცხადის წარმოდგენის საფუძველზე, რომელსაც თან უნდა ახლდეს:

1. ქონების საწყისი ღირებულების 10%-ის ანუ 14100 ლარის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი შემდეგ საბანკო რეკვიზიტებზე:
სს „საქართველოს ბანკი“
კოდი: 220101520
ანგარიში: 340698102000103300000

2. გასაყიდი ქონების საწყისი ღირებულების 141000 ლარის მტკიცე საბანკო გარანტია.

აუქციონში მონაწილეობისათვის განაცხადის შემოტანა შესაძლებელია 2008 წლის 20 ოქტომბრის 15.00 საათამდე მისამართზე: ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის 84, სს „ელმავალმშენებელის“ სააუქციონო კომისია.

აუქციონი გაიმართება 2008 წლის 20 ოქტომბერს 15.30 საათზე მისამართზე: ქ.თბილისი, დ. გურამიშვილის 84, სს „ელმავალმშენებელი“ ადმინისტრაციული კორპუსის მე-3 სართული, სათათბირო დარბაზი.

დაინტერესებულმა პირებმა დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ შემდეგ ტელეფონებზე: 65 31 34, 899 50 40 75.

**სს „ელმავალმშენებელი“**

## განცხადება სს „ავტო-94“-ის რიგგარეშე კრების მოწვევის შესახებ

**სს „ავტო-94“-ის დირექტორი იწვევს სს-ის აქციონერებს ს.ს. რიგგარეშე საერთო კრებაზე, რომელიც გაიმართება 2008 წლის 23 ოქტომბერს დაბა აგარაში სტალინის ქ.№60 (ს.ს. „ავტო 94“-ის ადმინისტრაციული შენობა).**

**დღის წესრიგი:**

1. დირექტორატის ინფორმაცია ს.ს.-ის ფინანსური მდგომარეობის შესახებ.
2. სხვადასხვა საკითხები.

დღის წესრიგის საკითხების შესახებ დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება შეიძლება ს.ს.-ის დირექტორთან.

აქციონერების მოთხოვნები დღის წესრიგის საკითხად შეიტანება, თუ ისინი შესაბამისი განცხადებით მიმართავენ დირექტორატს 2008 წლის 13 ოქტომბრამდე.

**დირექტორატი**

◎ იმპერიული ამბიციები

# ეკონომიკური განუკითხაობის მარწუხებში



**რუსეთისთვის ერთ-ერთი პერმანენტურად განმეორებადი კოშმარია ფინანსური კრახის შიში. რუსეთელები დღესაც შიშით იხსენებენ 1998 წლის აგვისტოში მაშინ ჯერ კიდევ ახლად შექმნილი სახელმწიფოს — რუსეთის ფედერაციის ფინანსურ კატასტროფას: სახაზინო ვალდებულებების გამოცხადებულმა დეფოლტმა მანეთს ორი მესამედი „წონა“ დაუკარგა, რამაც ქვეყნის გაკოტრება გამოიწვია.**

საგულისხმო მომენტი ის არის, რომ თუმცა რუსეთელთა კოლექტიურ გონებასაც დღესაც შემორჩენილი აქვს ფინანსური კატასტროფის შედეგად განცდილი დამცირება, ბოლო დროს რუსეთის მოქმედებები იმას მოწმობს, რომ იგი კვლავაც ცდილობს საკუთარი ნეოიმპერიული ამბიციებისა და კაპიტალიზმის მიერ მოტანილი ფუფუნების ერთმანეთზე მორგებას. **ეკონომიკის ექსპერტები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ნედლი ნავთობის გაყიდვით მიღებული შემოსავალი გარკვეულწილად არბილებს მთავრობის მიერ მიღებული ავტორიტარული და არასწორი გადაწყვეტილებების ნეგატიურ შედეგებს.**

რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიის ნაწილის ანექსია რუსეთს ყოველდღიურად დიდად აზარალებს — არსებული მონაცემებით მან ქვეყნიდან ინვესტიციების გატანით და ფასიანი ქაღალდების გაუფასურებით სადღეისოდ 35 მილიარდ დოლარზე მეტი დაკარგა.

უცხოური ინვესტიციები ნებისმიერი ქვეყნისთვის, მათ შორის, ცხადია, რუსეთისთვისაც, ის მაცოცხლებელი „ეკონომიკური სისხლის“ მომტანი ძალაა, რომლითაც მისი ფასიანი ქაღალდებისა და კრედიტების ბაზრები იკვებება. იგი ამჟამად რუსეთს აშკარად აკლია, რაც, თავის მხრივ, მის ეკონომიკას გუდავს. „შვიდთა“ ჯგუფმა უკვე კარგა ხანია მიაგნო ბაზრის ამ სპონტანურ ფენომენს და ამ ქმედითი ბერკეტის გამოყენებით ცდილობს რუსეთი აიძულოს, რომ ნაკისრი ვალდებულებები შეასრულოს.

უცხოელი მიმომხილველები იმ გარემოებას უსვამენ ხაზს, რომ ვლადიმერ პუტინი, რომელიც ოდესღაც ლენინგრადული ძველისძველი მრავალსართულიანი სახლის სადარბაზოებში ხელკეტით ვირთხებს დასდევდა, ახლა ყოველივე იმის დანგრევას ლამობს, რაც, მისი აზრით, მისი მსოფლმხედველობის ჩარჩოებში „ვერ ჯდება“. იგი გამუდმებით გაიძახის, რომ ძალ-ღონეს არ დაიშურებს ერთპოლარული სამყაროს მოსასპობად, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები მართავს. ამ აკვიატებული აზრის ფრთაშესასხმელად იგი ფინანსური კრახის გამოწვევის სავსებით რეალურ საფრთხესაც არ მოერიდა, არადა, ეს სწორედ ის „ბუა“ არის, რისაც რუსეთსა და რუსეთელებს ყველაზე მეტად ეშინიათ.

რუსეთისთვის ამჟამად შექმნილი ვითარების ტრაგიკულობა და ირონიულობა ის არის, რომ **რუსეთული საფონდო ბირჟების კრახი ჯერ კიდევ რუსეთის საქართველოს მიმართ აგრესიის დაწყებამდე დაიწყო.** ამის მიზეზი ის იყო, რომ რუსეთის ერთ-ერთი მსხვილი სამთომომპოვებელი და მეტალურგიული კომბინატის „მეჩელის“ აქციები ნიუ-იორკის საფონდო ბირჟაზე ერთი დღის განმავლობაში 38 პროცენტით დაეცა, მას შემდეგ, რაც რუსეთის პრემიერ-მინისტრმა საჯაროდ დასდო ბრალი კომპანიას უცხოელთათვის ნედლეულის შიდა ბაზარზე არსებულ ფასზე უფრო იაფად მიყიდვაში. ამან და პუტინის დაუფარავმა მუქარამ „მეჩელის“ მეპატრონის მიმართ, ინვესტორებს, რომ იტყვიან, ცივი წყალი გადაასხა, რის შედეგად კომპანიის კაპიტალიზაცია მარტო ერთ დღეში ექვსი მილიარდი დოლარით შემცირდა.

ეკონომიკური მეთოდებით ხელების გადაგრეხის კიდევ ერთი თვალნათლივი მაგალითი „მეჩელის“ ავბედითი თავგადასავლის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე მოხდა, როცა ინგლისურ-რუსეთული ენერგეტიკული კომპანიის „ტნკ-ბპ“ პრეზიდენტი რობერტ დადლი იძულებული გახდა მოსკოვიდან გაქცევით ეშველა თავისთვის. ამის მიზეზი ხელისუფლების მხრიდან კომპანიის მუდმივი შევიწროება იყო, რის საბაბი ნავთობის მოპოვების ეს სიდიდით მესამე კომპანიის აქციონერთა დაჟინებული მოთხოვნაა მოგების „ცოცხალი ფულით“ მიღება, ხოლო ბრიტანეთის მხარე წარმოებაში სამომავლოდ კაპიტალდაბანდებათა მოცულობის გაზრდის მოთხოვნით გამოდის. **ანალიტიკოსები ეჭვს გამოთქვამენ, რომ კრემლი ქვეყნიდან უცხოელთა განდევნის მცდელობათა ინიციატორი თუ არა, სრულუფლებიანი მონაწილე მაინცაა: რუსეთის შესაბამისი სამსახურები უარს აცხადებენ კომპანიის ბრიტანელი თანამშრომლებისთვის ვიზების გაცემაზე, გამუდმებით ატარებენ არაგეგმიურ ფინანსურ შემოწმებებს, უსმენენ პირად ტელეფონებს და სხვ.**

იმის გამო, რომ უცხოელმა ინვესტორებმა, რუსეთის მიერ საქართველოზე თავდასხმის შემდეგ, ამ ქვეყნიდან ინვესტიციების გაზიდვა დაიწყეს, რუსეთული რუბლი დოლარის მიმართ ბოლო ათი წლის მანძილზე ყველაზე მეტად გაუფასურდა, ხოლო ბოლო ერთი თვის მანძილზე ივლისთან, ანუ საქართველოზე თავდასხმამდე რუსეთულმა კომპანიებმა მოგება დაახლოებით 90 პროცენტით ნაკლები მიიღეს. აღსანიშნავია ასევე, რომ ბოლო დროს საგრძნობლად შემცირდა ახალი ფასიანი ქაღალდების გამოშვება — ივლისში მათი მოცულობა 900 მილიონს მნიშვნელოვნად აღემატებოდა, ბოლო მონაცემებით კი ეს მაჩვენებელი 3 მილიონ დოლარს ძლივს ასცდა

რუსეთელი მეწარმე ოლიგარქები ყველანაირად ცდილობენ კრედიტების დეფიციტის შევსებას: ცოტა ხნის წინათ ერთი მათგანი, ვლადიმერ პოტანინი რუსეთის პრეზიდენტს ეწვია, რუსეთული კომპანიების მსოფლიო ფინანსურ ბაზრებზე შეღწევასთან დაკავშირებულ სიძნელეებზე შესჩივლა და ლიკვიდების კრიზისის გადაჭრა სახელმწიფო რეზერვების დახმარებით სთხოვა. მედვედევი წინადადებას დათანხმდა და პირობა მისცა, რომ სექტემბრის დამლევამდე შემსუბუქებული დაკრედიტების ახალ პროგრამას გამოაქვეყნებდა.

ამგვარად, რუსეთი ისევ ძველ ჭკუაზეა და მუდამ ორი კურდღლის დაჭერას ცდილობს: ერთი მხრივ სურს, რომ კერძო კომპანიები კრემლის თანამოზიარენი იყვნენ, მეწარმეებმა საკუთარი მიზნები და მისწრაფებები კრემლელ უფროსებს შეუთანხმონ, კაპიტალიზმი კი დემოკრატიის გარეშე არსებობდეს. ეს კი ის გზაა, რომელზეც შემდგარი რუსეთი გამუდმებით იძულებულია ყველა უბედურება თავის კარის მეზობლებს გადააბრალოს, თუმცა სინამდვილეში მათი მიზეზებია ეკონომიკური პოლიტიკის შიდა დისონანსები, რაც ერთობ ნეგატიურად აისახება გლობალური ინტეგრაციის პროცესზე.

**ოთარ ტურაბელიძე**

◎ მომხმარებელს აბუჩად იგდებენ

# გირჩევთ, ამ მაღაზიებს არ გაეკაროთ

(მეშვიდე გვერდიდან)

რა უნდა მოიმოქმედონ ასეთ შემთხვევაში ასოციაციის მუშაკებმა? რა თქმა უნდა, ისინი მუშტიკრივს ვერ გაუმართავენ ავყია და ავგულა „მასპინძლებს“. ერთადერთი გამოსავალია მათ წინააღმდეგ გამოიყენონ კანონით გათვალისწინებული მოთხოვნები, მასმედიის საშუალებით ამხილონ მათი უსაქციელობა, მოუწოდონ მომხმარებელს მათ მაღაზიებში არ შეიძინონ საქონელი, აღნიშნული დარღვევების შესახებ შეატყობინონ შესაბამის ორგანოებს და ა.შ. სწორედ **ამ მიზანს ისახავს ეს წერილიც, რომელიც ეხება თბილისში ქეთევან წამებულის გამზირის №67-ში შპს „ზოია აბუაშვილის“ შერეული მაღაზიის, რუსთაველის გამზირის №14-ში შპს „თბილისური დუქნის“ (მესაკუთრე მიხეილ მგალობლიშვილი) და ტაშკენტის ქუჩის №10 ა-ში განთავსებულ სამშენებლო კომპანია „L+“-ის თანამშრომელთა თავხედობას. შპს „ზოია აბულაშვილის“ მუშაკებმა ლანძღვა-გინება არ იკმარეს, ჩვენი ასოციაციის ექსპერტებს გურამ ილურიძესა და ჯემალ მუქერიას ყაჩაღურად წაართვეს დოკუმენტები და ქუჩაში პანღურით გამოყარეს.**



როგორ ფიქრობთ, რატომ მოიქცნენ ასე თავხედურად დასახელებული სავაჭრო ობიექტების თანამშრომლები? მიზეზი ერთადერთია — მათ ჰქონდათ სერიოზული დარღვევები და ექსპერტები რომ არ შედავებოდნენ, აქეთ მოსდეს შარი, ატეხეს ყვირილი და ღრიალი არაფრისა გამო.

რა დარღვევებზე შეიძლება იყოს ლაპარაკი? იმაზე, რაზეც ადრეც ვწერდი „საქართველოს რესპუბლიკაში“: სარეალიზაციოდ გამოტანილი აქვთ ვადაგასული, ფალსიფიცირებული, საკვებად უვარგისი, უდოკუმენტოდ შეზიდული პროდუქტები, ალკოჰოლიანი თუ უალკოჰოლო სასმელები, თამბაქოს ნაწარმი, პერლიტგარეული სომხური ცემენტი, სუპერპლასტიფიკატორის გამოყენებით დამზადებული ბეტონი, ჟანგიანი არმატურა და სხვა. სამშენებლო ბიზნესში ფეხშედგმული ფალსიფიკაციის შემაშფოთებელი ფაქტები არაერთგზის ამხილა ამ დარგის ცნობილმა სპეციალისტმა ანზორ საკანდელიძემ, მაგრამ ვინ ათხოვა ყური... არადა, დასახელებულმა დარღვევებმა შეიძლება გამოიწვიოს მომხმარებელთა მოწამვლა (რაც არც თუ იშვიათია საქართველოშიძ, საცხოვრებელი სახლებისა და სხვა ნაგებობების ნგრევა, ადამიანთა მსხვერპლი და სხვა უბედური შემთხვევები.

აქედან გამომდინარე, მომხმარებლებს ამჯერადაც მოვუწოდებთ, თავი შეიკავონ დასახელებული ობიექტებიდან საქონლის შეძენისგან, ხოლო შესაბამისი ორგანოები დაინტერესდნენ მათი საეჭვო საქმიანობით.

**ლევან ბაღდავაძე,**
**საქართველოს მომხმარებელთა და ადგილობრივ მეწარმეთა უფლებების დაცვის ეროვნული ასოციაციის პრეზიდენტი, პროფესორი**

◎ პოეტის ერთი ლექსი

შოთა ზოიძე

## დღე დღევანდელი

**აღარც საფიხვნო, აღარც საკრებულო,**
**ათასჯერ დაქცეულო, დარბეულ-აკლებულო,**
**მიწავ, ორ ზღვას შუა აფრად გაკიდულო,**
**ოცჯერ ოცდაათ ვერცხლად გაყიდულო,**
**ცხოვრება დაიძაბა, გაძვირდა, გართულდა,**
**ქართველს ქართველობა გადაჰქართულდა.**
**ბევრმა არც კი იცის, ტახტი მახეა,**
**ხურმა რა ხილია, მუხა რა ხეა!...**

**აქ არც ბაღდადია და არც ქაბული,**
**აქ არის ლომების გამოქვაბული...**
**გამოქვაბულიდან გამოდის ეზოპე,**
**ანგელოზს სატანა დაუმეზობლეს.**
**უფალო, შენი განგება დიდია,**
**უფალო, სოფლის გამგებელი ფლიდია!**

**საწყალი საქართველო, უპურო, უფულო,**
**შენ დაიფარე, უფალო!**

განცხადება

2008 წლის 1 ოქტომბრიდან იწყება სს „ოქროს საწმისი“ მ.ს.ნ.ს.-ის ლიკვიდაცია დაინტერესებულ პირებს გთხოვთ მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე თბილისი გორგასლის ქუჩა 40. ტელ: 899 54-37-85

დაგვიანებული ნობათი

# რაღა ფასი აქვს?



**ამას წინათ სინანულით გაუწყეთ, რომ პეკინის ოლიმპიადის ქართველ გმირთაგან თითქმის ყველამ მიიღო კერძო სტრუქტურების ჯილდოები ბინების სახით. კერძოდ, ირაკლი ცირეკიძე ერთბაშად სამი, რევაზ მინდორაშვილი, მანუჩარ კვირკველია და გიორგი გოგშელიძე — ორ-ორი, ხოლო ოთარ თუშიშვილი პრესტიჟულმა სამშენებლო კომპანიებმა ერთი საცხოვრებელი სახლით დაასაჩუქრა.**

და აი, მივადექით ზემოთ უკვე ნახსენებ სიტყვას „თითქმის“, რომელშიც, მიხვდით ალბათ, ჩინეთში მოპოვებული პირველი „ჯვაროსანთა“ მედლის მფლობელი ნინო სალუქვაძეა ნაგულისხმევი. მაინც, რა დააშავა ასეთი ამიერიდან უკვე სრული ოლიმპიური კომპლექტის კავალერმა? — ბევრჯერ გვსმენია განვლილი ორი თვის განმავლობაში.

— ალბათ, საპატიო კვარცხლბეკზე რუს მეგობარ ნატალია პადერინასთან ჩახუტება არ აპატია ვარდოსანმა ხელისუფლებამო — გამოითქვა საფუძვლიანი ვარაუდი. თუმცა, ეტყობა, ძლიერნი ამა ქვეყნისანი მიხვდნენ პროტესტის ასეთი ფორმით გამოხატვის უგუნურებას და საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტობის ერთ-ერთი, ყველაზე რეალური კანდიდატის გია ნაცვლიშვილის სახით (უფრო სწორად — პირითძ მდგომარეობის გამოსწორება სცადეს.

„ჩინეთიდან დაბრუნებულ ჩვენს ჩემპიონ-პრიზიორებს რამდენიმე სამშენებლო კომპანიამ გადასცა ბინები. ჯილდოს გარეშე მხოლოდ ნინო სალუქვაძე იყო დარჩენილი, რამაც ძალიან უხერხული სიტუაცია შექმნა. დამჯილდოვებლები კერძო კომპანიები იყვნენ და მათ მიმართ მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის. ბუნებრივია, ვერც ვერავინ მოსთხოვდა მათ ყველას დასაჩუქრებას. არადა, სწორედ სალუქვაძე იყო ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს წარმატების სულისჩამდგმელი. მისი „ბრინჯაო“ რომ ყველასათვის უდიდესი სტიმული იყო, თავად ჩემპიონებმაც აღნიშნეს. დავუკავშირდი მეგობრებს, რომლებიც სამშენებლო კომპანია „არტესის“ ხელმძღვანელები არიან და მათ ნინოს დასაჩუქრება გადაწყვიტეს. საუბარია დილმის ცენტრში მშენებარე კორპუსში ოროთახიან ბინაზე“, — განაცხადა კახეთის ყოფილმა გუბერნატორმა.

რა შეიძლება ითქვას ამ ფაქტის შესახებ? რასაკვირველია, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს, მაგრამ ეს ისეთი შემთხვევაა, როცა იკითხავ: რაღა ფასი აქვს დამაღლებულ ნობათს — განა ნინო სალუქვაძეს დამსახურებული ჯილდოს მისაღებად ვინმეს შუამდგომლობა უნდა სჭირდებოდეს?

**გია პლატონიშვილი**

ძიუდო

# იანვარიც მალე მოვა

**ზურაბ ზვიადაურის მზე უკვე ჩაესვენაო — არაერთხელ გვსმენია უკანასკნელი წლების განმავლობაში. სამწუხაროდ, მისი გახშირებული წარუმატებლობები ასეთი მოსაზრების გამოსათქმელად საკმაო საფუძველს აძლევს გულშემატკივარს, თუმცა ჩვენი სურვილია, ხმები ათენის გმირის ვარსკვლავის ჩაქრობის თაობაზენაადრევი და გადაჭარბებული აღმოჩნდეს.**

სასიამოვნოა, რომ ასევე ფიქრობს თვით ტატამის დიდოსტატიც, რომელიც განსაკუთრებით გაზაფხულის დასაწყისში პარიზში გამართულ მსოფლიოს სუპერთასის გათამაშებაში მიღებულმა მძიმე ტრავმამ გააწამა და მხოლოდ რამდენიმე დღის წინათ გაიკეთა ოპერაცია. ვიდრე ზვიადაურის მონოლოგს შემოგთავაზებთ, შეგახსენებთ, რომ იგი წლეულს თბილისში მსოფლიო თასის მფლობელი გახდა და პეკინის ოლიმპიადაზე გასამგზავრებელ ეროვნულ ნაკრებშიც აპირებდა დამკვიდრებას, მაგრამ, რომ იტყვიან, ეშმაკს არ ეძინა...



„გერმანიის ქალაქ ნიურნბერგის კლინიკაში სამი დღით ჩავედი და ოპერაციაც იქვე გავიკეთე, — ამბობს ზურაბი. — მხარის ლამის ყველა კუნთი დაწყვეტილი, ლავიწის ძვალი კი ამოვარდნილი მქონდა. ექიმი, რომელმაც გამოკვლევა ჩამიტარა, აღშფოთებას ვერ მალავდა, თან დანანებით მითხრა, მაშინვე რომ ჩამოსულიყავი, სარბიელზე მაქსიმუმ ორ თვეში დაგაბრუნებდიო. ოპერაციამ კარგად ჩაიარა, თბილისში უკვე ნაკერებიც მომხსნეს და წინასწარი გათვლებით, ორ კვირაში სარეაბილიტაციო კურსის დაწყების შესაძლებლობა მექნება. რაც შეეხება პერსპექტივას, ყველაფერს ვიღონებ, რომ იანვარში თბილისის სუპერთასზე ვიასპარეზო და ქართველ ხალხს დავუმტკიცო, რომ უმაღლეს დონეზე ჭიდაობა კიდევ შემიძლია.“

ჩოგბურთი

# მხოლოდ ანა



**ამ დღეებში მსოფლიოს საჩოგბურთო ასოციაციამ (WTA) ახალი რეიტინგი გამოაქვეყნა, სადაც ჩვენთვის სასიხარულოს ცოტას თუ აღმოვაჩენთ.**

კერძოდ, მოწინავე ქალთა ორასეულში საქართველოს ისევ ერთადერთი წარმომადგენელი ჰყავს. ანა ტატიშვილს 188-ე პოზიცია უკავია. გაეცანით ჩვენს დანარჩენ თანამემამულეთა მონაგარსაც: მაკა ჩახნაშვილი — 218, სოფო შაფათავა — 277, ოქსანა კალაშნიკოვა — 602, თინათინ ყავლაშვილი — 671, მანანა შაფაქიძე — 703, სალომე დევიძე — 731, სოფო ქვაცაბაია — 739, ეკატერინე გორგოძე — 932.

კიდევ უფრო უარესად აქვთ საქმე „ჯვაროსან“ ვაჟებს. პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციის (ATP) რეიტინგში მათგან საუკეთესოს ირაკლი ლაბაძეს 537-ე ადგილი უკავია.

ინტერნეტიდან

## „ფერარის“ შავი დღე

**ასე უწოდა ავტორბოლაში „ფორმულა-1“ მსოფლიო ჩემპიონატის ამჯერად სინგაპურის ღამის ეტაპზე „ფერარის“ პილოტების — ბრაზილიელი ფელიპე მასასა და ფინელი კიმი რაიკონენის ხელმოცარულობას ამ საჯინიბოს თავკაცმა სტეფანო დომენიკალიმ.**

ჯერ იყო და, ბოქსებში საწვავის შესავსებად შესულ მასას ისე ეჩქარებოდა, რომ მექანიკოსებს სამუშაოს დამთავრება არ აცალა, გავარდა წინ, საწვავის მანქანის შლანგიც გაიყოლა, მექანიკოსებსაც შეეჯახა და ამით უამრავი დრო დაკარგა. ლიდერობიდან ბოლო ადგილზე გადაინაცვლა. ახლა გუნდი სერიოზულად იმსჯელებს პიტ-სტოპის დროს მასას საქციელზე.

კიმი რაიკონენი კი სერიოზულ ავარიაში მოხვდა, როდესაც მეხუთე ადგილზე იყო და რბოლას გამოეთიშა.

ეს „ფერარისთვის“ შავი დღე იყო. მეტს ვერაფერს დავუმატებ, — თქვა დომენიკალიმ, — სინგაპურში ჩვენ სინამდვილეში დუბლის გაკეთებას ვაპირებდით, ფაქტობრივად კი ვერც ერთი ქულა ვერ მოვიპოვეთ... მთელი გუნდი იმედგაცრუებულია და არა იმედგატეხილი. ჩვენ გავუძლებთ სიძნელეებს. წინ კიდევ სამი რბოლაა. ჩვენ ვიცით, რა უნდა გავაკეთოთ, რათა დასახულ მიზანს მივაღწიოთ“.



## გაგლოევი თურმე ფულს აკეთებდა



**სულ ცოტა ხნის წინათ იაპონიაში აგორდა დიდი სკანდალი სუმოისტთა შორის მარიხუანის მომხმარებელთა რიცხვის ზრდის გამო, რასაც მხილებული სუმოისტების დიდი ჯგუფის სასტიკი დასჯა მოჰყვა. მათ შორის აღმოჩნდნენ რუსეთელი მოჭიდავეები სოსლან გაგლოევი, ძმები სოსლან და ბატრაზ ბორაზდოვები. მათ სამუდამო დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს. ხოლო ამ მასშტაბური სკანდალის გამო თანამდებობიდან გადადგა სრულიად იაპონიის პროფესიული სუმოს ასოციაციის პრეზიდენტი ოიკატა კიტანოუმი.**

ამ დიდ სკანდალს მოჰყვა სოსლან გაგოლოევის ასევე სკანდალური განცხადება, რაც მან ორშაბათს ტოკიოში გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა. „ფულს მიხდიდნენ, რათა ესა თუ ის შეხვედრა წამეგო. ჩემზე ზეწოლას ახდენდნენ და შეშინებული ვიყავი, — განუცხადა სოსლანმა რეიტერის სააგენტოს, — უარს ვერ ვამბობდი ქრთამზე, სუმო ხომ ბინძურია... ჩემი აღიარებით მინდა ცოტათი მაინც მისი გასუფთავება. რაც შეეხება მარიხუანას წევას, ამ საქმის მიმდევარი ზოგიერთ მოჭიდავეს დღემდე არავითარი სასჯელი არ მიუღია“.

20 წლის რუსეთელის თქმით, ის ახლო მომავალში აპირებს, დაწვრილებით ილაპარაკოს ელიტური სუმოს კულისებსმიღმურ ცხოვრებაზე.

## რონალდუ მშიშარა ყოფილა...

**ყოველ შემთხვევაში ასე აცხადებს პორტუგალიის ნაკრებისა და „მანჩესტერ იუნაიტედის-1“ ნახევარმცველის კრიშტიანუ რონალდუს ყოფილი საცოლე ნერეიდა გალიარდო, გაუმჟღავნა რა ჟურნალისტებს სახელოვან ფეხბურთელთან განშორების წვრილმანი.**

ლამაზმანის თქმით, მათი განშორება დაკავშირებულია იმასთან, რომ კრიშტიანუს თაყვანისმცემელი ქალების მთელი გუნდი ჰყავდა თვით მათი რომანის დროსაც კი, რაც შვიდ თვეს გრძელდებოდა.

„რონალდუ შესანიშნავი საყვარელი იყო, ამიტომაც ვიყავი მასთან, — თქვა ნერეიდამ, — ჩვენ სექსი გაცნობის პირველსავე დღეს გვქონდა“.



ეს ურთიერთობა კი კრიშტიანუმ მხდლურად დაასრულა.

„მან **SMS**-ი გამომიგზავნა, — თქვა გალიარდომ, — რამაც საშინლად გამანაწყენა. მიმაჩნია, რომ ასე მხოლოდ მხდალები იქცევიან“.

„ამ დროის მანძილზე მისი ერთგული ვიყავი, — განაგრძობს ლამაზმანი, — მაგრამ ძალზე ვეჭვობ, რომ ისიც ასეთი იყო. მე ვნახე მის ტელეფონში შეტყობინება ესპანურ ენაზე, რაც საეჭვო შინაარსისა იყო“.

ამავე დროს ქალიშვილი კატეგორიულად უარყოფს ჭორებს, თითქოს ის „რეალის“ მცველ სერხიო რამოსთან იწვა, „ჩვენ მხოლოდ მეგობრები ვართ!“

ავი ყოფა

**რუსეთის აგრესიის შედეგად დაცლილი ქართლის სოფლებიდან და გორიდან დაბომბვებს გადარჩენილმა მოსახლეობამ თავი ძირითადად დედაქალაქს შეაფარა. მიუხედავად ხელისუფლების მრავალი განცხადებისა, რომ დევნილებს მაქსიმალურს უკეთებენ, სკოლებში, ბაღებსა და სხვა ორგანიზაცია-დაწესებულებებში განთავსებულნი აშკარად უკმაყოფილონი არიან სახელმწიფოს მიერ გამოჩენილი მზრუნველობით.**

# დევნილებს რეზერვაციის პირობებში აცხოვრებენ

### ყურადღება მხოლოდ პრესტიჟულ უბნებში განთავსებულთ ეთმობათ!

ლტოლვილთა უმეტესობა მძიმე პირობებს უჩივის. მათთვის იშვიათად, მცირე რაოდენობით და ისიც ხანდახან, მოაქვთ საკვები. არა აქვთ საწოლები, ლეიბები. დევნილთა კომპაქტურად განსახლების ადგილების უმეტესობაში არ არის ელექტროენერგია, გზა. მოუგვარებელია წყალმომარაგების საკითხები, მოშლილია საკანალიზაციო სისტემები და ა.შ.

**მერაბ ალბორაშვილი, გორის მკვიდრი, დროებით თბილისში მცხოვრები:** „ლტოლვილებში ბევრი ახლობელი მყავს. ყველასგან მესმის, რომ ისინი ფაქტობრივად შიმშილობენ. გამოქცეულთა უმეტესობა ზედ ჩაცმული ტანსაცმლის ამარაა. არა აქვთ პირადობის მოწმობები, ფული. შედარებით უკეთეს მდგომარეობაში არიან პრესტიჟულ უბნებში განთავსებულნი. მათთვის იშვიათად, მაგრამ მაინც მოაქვთ პური, შაქარი, ფქვილი, წიწიბურა. კანალიზაციის საკითხები მეტ-ნაკლებად მოგვარებულია, იმ მარტივი მიზეზების გამო რომ იძულებით ადგილნაცვალებმა არ შეაწუხონ ახლომახლო მცხოვრებნი. იქ, სადაც ხანდახან მაინც მიაქვთ დასახელებული პროდუქტები (იგულისხმება ქალაქის გარეუბნები, არაპრესტიჟული უბნები), მათ მოსამზადებლად არა აქვთ ელექტროენერგია. ვერ ინახავენ პროდუქტს, ოჯახები იძულებული ხდებიან შეამხანაგდნენ და სახელმწიფოს ნაბოძები პროდუქტები, პირველადი მოხმარების საგნები ბაზრობებზე გაყიდონ. ამ შემთხვევებშიც გამოჩნდნენ მოხერხებულნი და ლტოლვილების კომპაქტურად ჩასახლების ადგილებში ტრიალებენ. მიზერულ ფასად ყიდულობენ ყველაფერს, ან პურში უცვლიან".

### ინფექციის კერებიც გაჩნდა

ბევრგან მოუგვარებელია სამედიცინო დახმარების საკითხები. კომპაქტურად ჩასახლებულთა შორის არიან მოხუცები, ინვალიდები. როგორც ჩვენთან მოსაუბრე ერთ-ერთი ლტოლვილი აცხადებს (ვინაობის დასახელებისაგან თავს იკავებს. თუ რატომ, ამაზე ქვევით გვექნება საუბარიძ, მათ შორის მრავლად არიან ქალებიც, რომელთაც დაბომბვების შედეგად ფსიქიკური ტრავმები მიიღეს, მათი მიმხედი არავინაა. იძულებით გადაადგილებულთა შორის არიან ინვალიდებიც, რომლებიც გადაუდებელ ქირურგიულ ჩარევებს, ოპერაციებს საჭიროებენ. ჩვენი რესპონდენტის გადმოცემით, ავადმყოფები სათანადო დოკუმენტაციისა და რეცეპტების წარდგენით ჯანდაცვის სამინისტროს აკითხავენ. იქ ყველაფერს იწერენ, მაგრამ ქმედითი დახმარებები არ ჩანს, რაიონის გამგეობებსაც მიადგნენ ლტოლვილები (მაგ. გლდანი-ნაძალადევისძ, მაგრამ ჩინოსნები მხრებს იჩეჩენ — ვერაფრით დაგეხმარებითო.

ჯანდაცვის სამინისტრო არათუ ოპერაციების ჩატარების, არამედ იძულებით გადაადგილებულთათვის ელემენტარული სანიტარიული ნორმების შექმნითაც არ იწუხებს თავს, პირობების უქონლობის (საკვების შენახვის ცუდი პირობები, ანტისანიტარიული მდგომარეობაძ კომპაქტურად ჩასახლების რამდენიმე ადგილას ინფექციური კერების გაჩენა მოჰყვა.



პრობლემასთან დაკავშირებით თბილისის საკრებულოს სხდომაზე ქალაქის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის სამსახურის უფროსმა მამუკა ქაცარავამ განაცხადა, რომ კერები მალევე აღმოიფხვრა. თუმცა არ დაუკონკრეტებია მათი შემდგომი შეუბრუნებლობისთვის რა ღონისძიებები ტარდება.

### ქუჩაში გამოყრილები თავს შველიან

სასწავლო წლის დაწყებამდე დევნილებთან 3-3-კაციანი ჯგუფები მიდიოდნენ და კომპაქტურად ჩასახლებულებს საკმაოდ უხეში ტონით „ურჩევდნენ" საცხოვრებელი დაეტოვებინათ. თან უხსნიდნენ, რომ თუ ეს ნებით არ მოხდებოდა, იძულებით დაატოვებინებდნენ. „მრჩევლები" აცხადებენ,რომ არასამთავრობო ორგანიზაციებიდან იყვნენ, თუმცა რომელიდანო არ ამბობდნენ და არც თავიანთ ვინაობას ამხელდნენ.

იხ. 12 გვ.

## განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

**ქუთაისის საგადასახადო ინსპექცია 2008 წლის 15 ოქტომბერს 15 საათზე, ტყიბულში, კარლო ლომაძის №3-ში (ტყიბულის ყოფილი რაიონული საგადასახადო ინსპექციის შენობაში) შპს "ბაჩა"-ს ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის მიზნით ატარებს განმეორებით აუქციონს.**

**სარეალიზაციოდ გამოტანილი იქნება შემდეგი ქონება:**

1 აგურის შენობა, ზომით 80X60 კვმ. სახურავი რკინის კონსტრუქციის, დახურულია შიფერით, შეფასებულია 15000 ლარად;
2. შენობა გოფმანის ღუმელით, ზომით 10X6 კვმ. 2 ღუმელი, შეფასებულია 2500 ლარად;
3. ელექტროქვესადგურის შენობა, კაპიტალური, ზომით 12X6 კვმ. სახურავი სიმკარის და შიფერის,, დაზიანებულია, შეფასებულია 1500 ლარად;
4. სახელოსნოს შენობა, ზომით 5X6 კვმ. ნაწილი დანგრეულია, შეფასებულია 800 ლარად;
5. ავტოფარეხი, ზომით 12X6 კვმ. სახურავი სიმკარის, შეფასებულია 1800 ლარად;
6. კანტორის შენობა, კაპიტალური, ერთსართულიანი, ზომით 9X7 კვმ. სახურავი შიფერით, სარემონტოა, შეფასებულია 500 ლარად;
7. აბანოს შენობა, კაპიტალური, ერთსართულიანი, ზომით 17X3 კვმ. დახურულია რკინა-ბეტონით, საჭიროებს რემონტს, შეფასებულია 600 ლარად;
8. ტერიტორიის კეთილმოწყობა, ასფალტირებული გზა,შეფასებულია 150 ლარად;
9. ტრანსფორმატორი, ვარგისი, შეფასებულია 14000 ლარად;
10. ელ. შემდუღებელი სარემონტო, შეფასებულია 50 ლარად;
11. პრესფორმა თიხის, ზომით 0.4X 0.58, შეფასებულია 1800 ლარად;
12. პრესფორმა აგურის უვარგისი, 200 კგ. ჯართი შეფასებულია 40 ლარად;
13. პრესფორმა აგურის უვარგისი, 200 კგ. ჯართი შეფასებულია 40 ლარად;
14. პრესფორმა აგურის უვარგისი, 200 კგ. ჯართი შეფასებულია 40 ლარად;
15. პრესფორმა აგურის უვარგისი, 100 კგ. ჯართი შეფასებულია 20 ლარად;
16. ე.წ. „მეშლაკა" თიხის, ვარგისი, შეფასებულია 250 ლარად;
17. ზეთის გამაგრილებელი, ვარგისი, შეფასებულია 200 ლარად;
18. თიხის კეცის პრესფორმა ვარგისი, შეფასებულია 500 ლარად;
19. ე.წ. „პრესი" საჭიროებს რემონტს, შეფასებულია 2500 ლარად;
20. სახარატო ჩარხი, აღსადგენი, შეფასებულია 1800 ლარად;
21. საბურღი „სვერლო" ვარგისი, შეფასებულია 250 ლარად;
22. მაგიდა, შეფასებულია 20 ლარად;
23. დივან-კრესლო, შეფასებულია 30 ლარად;
24. მაცივარი, შეფასებულია 50 ლარად;
25. კრესლო, შეფასებულია 15 ლარად;
26. ცისტერნა 5ტ. შეფასებულია 500 ლარად;
27. ცისტერნა 15ტ. შეფასებულია 1200 ლარად;
28. ძველი კანტორის შენობა, აგურის, ზომით 12X7, სახურავი შიფერის, სარემონტო, შეფასებულია 1000 ლარად.

სულ სარეალიზაციოდ გამოტანილი ქონების საწყისი ფასი შეადგენს 47155 (ორმოცდაშვიდიათას ასორმოცდათხუთმეტი) ლარს.

მესამე პირები, რომელთაც გააჩნიათ უფლებები ამ ქონებაზე ვალდებულნი არიან ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი აუქციონის დაწყებამდე წარუდგინონ ქუთაისის საგადასახადო ინსპექციას.

აუქციონზე მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია აუქციონის დაწყებამდე ხაზინის სადეპოზიტო ქვეანგარიშზე წინასწარ გადაიხადოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იმ ნივთის საწყისი ღირებულების 2%, რომლის შეძენასაც იგი აპირებს, რაც გამარჯვების შემთხვევაში ჩაითვლება გადახდილი თანხის ანგარიშში.

ნებისმიერი მყიდველი, რომელიც აუქციონზე შეისყიდის ქონებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაიხადოს მის მიერ შემოთავაზებული ფასის სულ ცოტა ნახევარი, ან 5000 ლარი უმცირესი თანხის მიხედვით, თუ აუქციონზე მიღებულ იქნა მის მიერ შემოთავაზებული ფასი, ხოლო თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა დაიფაროს რეალიზაციიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში. თანხის მთლიანად დაფარვამდე მყიდველს არ გააჩნია ქონებაზე საკუთრების უფლება.

ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს ქუთაისის საგადასახადო ინსპექციასთან შეთანხმებით წინასწარ გაეცნოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილ ქონებას.

ცნობებისათვის მიმართეთ ქუთაისის საგადასახადო ინსპექციას მისამართზე: ქ. ქუთაისი, რუსთაველის პრ.1.

**ტელ.: 8-231-4-20-95, 8-231-4-45-79.**

## განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

**ქუთაისის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) 2008 წლის 15 ოქტომბერს, 14 საათზე, ტყიბულში, კარლო ლომაძის №3-ში (ტყიბულის ყოფილი რაიონული საგადასახადო ინსპექციის შენობაში) სსკს "ხრესილის"-ს ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის მიზნით ატარებს აუქციონს.**

**სარეალიზაციოდ გამოტანილი იქნება შემდეგი ქონება:**

1. ა/მანქანა "გაზ-52-04" შეფასებულია 500 ლარად;
2. ა/მანქანა "საზ-35-07" შეფასებულია 800 ლარად;
3. ა/მანქანა "გაზ-53ა" შეფასებულია 500 ლარად;
4. ბულდოზერი "დ-606" შეფასებულია 3000ლარად;
5. გუთანი "პლნ 4-35" შეფასებულია 200 ლარად;
6. ტრაქტორი "მტზ-82" შეფასებულია 1000 ლარად;
7. ავტობუსი "კავზ-685" შეფასებულია 700 ლარად;
8. ადმინისტრაციული შენობა ორსართულიანი, აშენებულია აგურით, 63.6კვ.მ შეფასებულია 1500 ლარად;
9. ბრიგადირის სახლი ხრესილში ერთსართულიანი, აშენებულია ბლოკით, 70კვ.მ. შეფასებულია 800 ლარად;
10. ბრიგადირის სახლი ღელვაში, შენობა დანგრეულია;
11. სახერხი ახალდაბაში, ლითონის მაგიდა-დაზგა,, შეფასებულია 250 ლარად;
12. კარავი ჩაიში აშენებულია ბლოკით, 26კვ.მ შეფასებულია 100 ლარად;
13. ხელოვნური დათესვლის პუნქტი, აშენებულია აგურით, 22კვ.მ შეფასებულია 150 ლარად;
14. საყარაულო ჯიხური ავტოფარეხთან, აშენებულია ბლოკით, 9კვ.მ. შეფასებულია 100 ლარად;
15. სამჭედლო ახალდაბაში, 19კვ.მ. შეფასებულია 150 ლარად;
16. სამჭედლო ხრესილში 18კვ.მ შეფასებულია 150 ლარად;
17. სასწორი 50კგ. 1 ცალი შეფასებულია 50 ლარად;
18. კასა უბრალო ვარგისი, 1 ცალი შეფასებულია 50 ლარად;
19. საბეჭდი მანქანა 1 ცალი შეფასებულია 10 ლარად;
20. საწერი მაგიდა 1 ცალი შეფასებულია 20 ლარად;
21. ცეცხლგამძლე კასა 1 ცალი შეფასებულია 100 ლარად.

სულ სარეალიზაციოდ გამოტანილი ქონების საწყისი ფასი შეადგენს 10130 (ათიათას ასოცდაათი) ლარს.

მესამე პირები, რომელთაც გააჩნიათ უფლებები ამ ქონებაზე ვალდებულნი არიან ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი აუქციონის დაწყებამდე წარუდგინონ ქუთაისის საგადასახადო ინსპექციას.

აუქციონზე მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია აუქციონის დაწყებამდე ხაზინის სადეპოზიტო ქვეანგარიშზე წინასწარ გადაიხადოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იმ ნივთის საწყისი ღირებულების 2%, რომლის შეძენასაც იგი აპირებს, რაც გამარჯვების შემთხვევაში ჩაითვლება გადახდილი თანხის ანგარიშში.

ნებისმიერი მყიდველი, რომელიც აუქციონზე შეისყიდის ქონებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაიხადოს მის მიერ შემოთავაზებული ფასის სულ ცოტა ნახევარი, ან 5000 ლარი უმცირესი თანხის მიხედვით, თუ აუქციონზე მიღებულ იქნა მის მიერ შემოთავაზებული ფასი, ხოლო თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა დაიფაროს რეალიზაციიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში. თანხის მთლიანად დაფარვამდე მყიდველს არ გააჩნია ქონებაზე საკუთრების უფლება.

ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს ქუთაისის საგადასახადო ინსპექციასთან შეთანხმებით წინასწარ გაეცნოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილ ქონებას.

ცნობებისათვის მიმართეთ ქუთაისის საგადასახადო ინსპექციას მისამართზე: ქ. ქუთაისი, რუსთაველის პრ. 1.

**ტელ.: 8-231-4-20-95, 8-231-4-45-79.**

## ავი ყოფა

# დევნილებს რეზერვაციის პირობებში აცხოვრებენ

(მეთერთმეტე გვერდიდან)

ცოტა ხანში მართლაც ასრულდა მათი დანაპირები. დევნილთა უმეტესობა დაკავებული ფართიდან გამოყარეს. ნაწილი იძულებით, მოტყუებით წაიყვანეს თავიანთ ნასახლარში, ბევრი საკუთარი სურვილით დაუბრუნდა მშობლიურ მხარეს, მათ აღარ უნდოდათ სხვის იმედად ყოფნა. მათ, ვისაც წასასვლელი არსად ჰქონდათ, ღია ცის ქვეშ დარჩენის საშიშროების წინაშე აღმოჩნდნენ. მათ თვითგადარჩენაზე დაიწყეს ზრუნვა. დიდი ლიახვის ხეობიდან დევნილები სპორტული მედიცინის ცენტრში შეიჭრნენ. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს სამართველოს უფროსმა კობა გორგოძემ განაცხადა, რომ იძულებით ადგილნაცვალ პირებს აუცილებლად გამოუყოფენ შენობას. მან იქვე დაამატა, რომ ხელისუფლება არ დაუშვებს სამედიცინო დაწესებულებებში იძულებით შეჭრის ფაქტებს.



კოლორიდან გამოქცეულები ღია ცის ქვეშ დარჩენის შიშით ფიზკულტურის ინსტიტუტის ყოფილ შენობაში შეიჭრნენ იმავე კობა გორგოძის განმარტებით დევნილები აუცილებლად დაკმაყოფილდებიან საცხოვრებელი ფართით.

### დევნილები ალყაში

ლტოლვილთა კომპაქტურად ჩასახლების ადგილებში უცხო პირის გამოჩენას ყოველთვის თან ახლავს, მერიის, ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენელთა გამოჩენა. დევნილებთან ხანმოკლე გასაუბრებისას კი ნათელი ხდება, რომ ისინი შეშინებულნი არიან. მათ რამდენიმე თვალი აკონტროლებთ.

კომპაქტურად ჩასახლებულნი სხვა ცნობილ პრობლემებთან ერთად იმითაც ინტერესდებიან, თუ რატომ არის ხშირად დევნილთათვის განკუთვნილი პროდუქტი, პირველადი მოხმარების საგნები ბაზრობებზე გამოფენილი:

როგორც გაირკვა, კომპაქტურად მცხოვრებთათვის ჰუმანიტარული დახმარებების დ ა რ ი გ ე ბ ა ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ მოხალისეებს გადააბარა. სამინისტროს პასუხისმგებელ პირთა განცხადებით ეს გაგრძელდება იმ დრომდე, ვიდრე არ გამოვლინდება ტენდერში გამარჯვებული კომპანია, რომელიც ტვირთის განაწილებით დაკავდება. სპეციალისტთა გამოთვლით, ტენდერის ჩატარება რთული პროცედურაა და დროში გაიჭიმება. როდესაც ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს დევნილებმა ტენდერის პირობებთან გაცნობა სთხოვეს, სამინისტროში განაცხადეს, რომ ყველაფერი მათ ვებ გვერდზეა მოთავსებული. აქ კი 2006 წლის ტენდერის შემდეგ არავითარი ცნობები არ არსებობს.

ამ ლაფსუსის გამოსწორება სამინისტრომ სცადა და განაცხადა, რომ ბრძანებით (ვისი, არ კონკრეტდებაძ შემწეობების განაწილება ლტოლვილთა და ფინანსთა სამინისტროებს ევალებათ. ბუნებრივი ჩნდება კითხვა, რა შუაშია ამ შემთხვევაში მოხალისეთა რაზმი. ჩვენ შევძელით გაგვერკვია, რომ ამ რაზმს ვინმე პაატა კავკასიძე ხელმძღვანელობს, რომელიც პარლამენტარ კობა სუბელიანის უახლოესი მეგობარია . ფართოდ არის სუბელიანი ჩართული ჰუმანიტარული ტვირთების განაწილების საქმეში, როდესაც ეს საკითხი მას სრულებითაც არ ეხება. რაც შეეხება კავკასიძეს, იგი ყოველგვარი კომენტარებისაგან თავს იკავებს.

დევნილებისათვის დახმარებების გაცემის, საყოფაცხოვრებო პირობების მოგვარების საკითხები უამრავი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას და საზოგადოებაში არც თუ უსაფუძვლოდ იწვევს არასასიამოვნო ხმების გავრცელებას. ამას დაემატა საზოგადოების, პოლიტიკოსთა ერთი ნაწილის სურვილზე, მონიტორინგი ჩაეტარებინათ ლტოლვილთა პრობლემებზე, ძალოვანების მედგარი წინააღმდეგობა. უკვე გაჩნდა ეჭვები იმის თაობაზე, რომ ხელისუფლების კონტროლი იმის გამო დაევალა შსს-ს, რომ მერაბიშვილმა არ დაუშვას რეალური მდგომარეობის ფართო საზოგადოების სამსჯავროზე გამოიტანა.

### ერთი კედელიც თუ გაქვს, ლტოლვილი აღარ ხარ

გორში, კარვების ქალაქში, განსახლებული დევნილები უაღრესად შეჭირვებულ მდგომარეობაში იმყოფებიან. კლიმატური პირობების გაუარესების გამო მათ სიცივე, განსაკუთრებით ბავშვებს, აწუხებთ. ჰუმანიტარული დახმარების გამცემი პუნქტები დაკეტილია. გაჭირვებულ ხალხს გაცემული ტალონების მაგივრად ფარატინა ქაღალდილა შერჩათ. ადგილობრივმა ხელისუფლებამ გამოსავალს მიაგნო და დევნილებს განუცხადა, რომ გორელებისათვის, რომელთაც დანგრეული სახლების წასაქცევად გამზადებული კედლები მაინც შემორჩათ, დახმარებები აღარ გაიცემა. მოტივი ასეთია: გორში მაღაზიები გაიხსნა, პენსიები რიგდება და ყველას შეუძლია დახმარების გარეშე ცხოვრება.

გაზულუქებულ ჩინოვნიკებს ავიწყდებათ, რომ დანგრეული კედლები ხალხს ვერ გამოკვებავს. მათ უმეტესობას ერთი თეთრიც არა აქვს. უმრავლესობას დაკარგული აქვს პირადობის მოწმობა, რის გამოც ვერ იღებენ პენსიას.

კარვის ქალაქთან მიახლოება უცხო პირებისათვის წარმოუდგენელია, რათა ხელისუფლების მიერ გაპიარებული თემა – გორში ადამიანები ცხოვრების ნორმალურ რიტმს უბრუნდებიან – საპნის ბუშტივით არ გასკდეს. ყოველივეს მერაბიშვილის უწყება საგანგებოდ იცავს. როგორც ადგილობრივები იძახიან, ისინი „კარვის ქალაქის“ პირობებში კი არა, ინდიელების მსგავს რეზერვაციის ატმოსფეროში ცხოვრობენ. ახლახანს შექმნილი ანტიკრიზისული კომისია, ექსპერტთა, პოლიტოლოგთა განმარტებით, ფაქტობრივად ველარაფერს შეცვლის, რამეთუ რაც მოსაპარი და შესაჭმელი იყო, ყველაფერი მოიპარეს და შეჭამეს. თორთლაძის კანტორა ამ კუთხით, მხოლოდ გამჭვირვალეობის ფონის შესაქმნელად წარმოიშვა – მიაჩნიათ სპეციალისტებს.

**ზაზა ბილიხოძე**

## ჭირი დანახული ჯობს

ბოლო დროს ჩვენი ბებერი დედაქალაქი, ცოტა არ იყოს, კარგა გვარიანად გაფუფალავდა, არც პუდრი დაიკლო, არც პომადა, ერთი სიტყვით, კოსმეტიკას მიჰყო ხელი და ჭრელაჭრულად გაავნიანებული აწონებს თავს მიმსვლელ-მომსვლელთ...

კი, თვალი ჭამს და თვალი სვამს, მაგრამ, აბა, ერთი ზოოპარკთან მიწისქვეშა გადასასვლელში ჩადით თერთმეტსართულიანისკენ გადასასვლელად. მით უმეტეს, თუ უკვე საღამო ხანია და ბნელა, როცა

### ზოოპარკთან მიწის ქვეშ არ ჩახვიდეთ... კისერს თუ არა, ფეხს უთუოდ მოიტეხთ

თვალს ჭამაც უჭირს და სმაც. არადა სხვაგვარად მეორე მხარეს ნამდვილად ვერ გადახვალთ, უეჭველად უჩვეულოდ მოზღვავებული ტრანსპორტის მსხვერპლი გახდებით. თუმცა, რაც გუშინ საღამოს ამ მიწისქვეშა გადასასვლელში ვნახე, როგორც ჩანს, არც მიწის ქვეშ გადასვლა ყოფილა უხიფათო.

ერთ ადგილას, სადაც წყალსაწრეტს ცხაური ჰქონდა ახდილი, ხნიერი ქალის კვნესა ისმოდა. საწყალს ამოსვლა უნდოდა, მაგრამ ვერ ამოდიოდა. ბოლოს, როგორც იქნა, ორმა მგზავრმა ძლივს ამოვიყვანეთ ფეხნაღრძობი. მერე შვილს დავურეკეთ, რომელმაც მალევე მოაკითხა...

ამ წერილს იმიტომ გწერთ, რაკი ქალაქის მერიას ხმა ვერ მივაწვდინე, იქნებ თქვენი გაზეთი მაინც წაიკითხონ მერიელებმა და მიწისქვეშა გადასასვლელებშიც ჩაიხედონ, სადაც, მეტადრე ქალაქის გარეუბანში, ყველაფერი ისე ვერ არის, როგორც უნდა იყოს.

**გივი კოჭლამაზაშვილი,**
სტუდენტი.

## ანეკდოტები

მაღვიძარა ყველაზე კარგად ხელფასის დღეს აღვიძებს.

* * *

– რატომ ხარ ასე მხიარული?

– გუშინ ცოლს გავეყარე, რქები მოვიშორე!

* * *

ავტობუსში:

– მოქალაქევ! თქვენ მთვრალი ხართ, საშინლად მთვრალი. საზიზღრად მთვრალი!

– თქვენ კი, ქალიშვილო, მრუდე ფეხები გაქვთ, საშინლად მრუდე, საზიზღრად მრუდე!



მე კი ხვალ ფხიზელი ვიქნები!

* * *

– ცოლმა სამი ბავშვი მაჩუქა!

– დიდებულია, კი მაგრამ ვისი?!

* * *

რუსეთელები დიდხანს ვერ იძინებენ, რადგან ფიქრობენ, რომ ცხოვრობენ ნატოს საშიში ბლოკის გარემოცვაში, მათგან ყველაზე „გულადებს“ კი მშვიდად სძინავს ნატოს ქვეყნებში შეძენილ მდიდრულ ვილებში.

* * *

– მომილოცავს, ჯიგარო, ცოლს შერიგებულხარ, გუშინ დაგინახეთ, ერთად შეშას ჭრიდით.

– აბა, რას ამბობ? ის შეშა არა, ავეჯი იყო!

* * *

დირექტორი თავის თანამშრომლებს:

– ნუ გეშინიათ, მანქანა თქვენ ვერ შეგცვლით, რადგან ჯერ არ გამოუგონიათ ისეთი მანქანა, რომელსაც არაფრის გაკეთება არ უნდა.

* * *

– როგორ გაიცანი შენი ცოლი?

– შემთხვევით. ვერავის დავადანაშაულებ!

* * *

– ცოლი არ გეხმარება ტანსაცმლის გაწმენდაში?

– როგორ არა, განა ჯიბეებს ის არ მისუფთავებს?!

* * *

მასწავლებელი – მიხო, მიუღლე ზმნა „ვამთქნარებ“ მომავალ დროში!

მოსწავლე – მე მძინავს, შენ გძინავს, მას სძინავს, ჩვენ გვძინავს...

* * *

– მამაჩემს ამ დიდი ქვის აწევა შეუძლია! – ტრაბახობს ერთი ბიჭი.

– მამაჩემს კი სამი ასეთი ქვის აწევა შეუძლია! – გამოეხმაურა მეორე.

– მამაჩემი კი ამაზე თავს არ შეიწუხებს, ამისთვის ხომ მოადგილე ჰყავს! – ამბობს მესამე.

*საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი და თანამშრომლები დაბადების დღეს ვულოცავთ პრეზიდიუმის წევრს პოეტ ჯანსუღ ჩარკვიანს. თქვენი ლექსები მზისკენ გაფრენილი მერნებია, რწმენითა და სამშობლოს სიყვარულით სავსე. „მე ვითომ არცა გყავდი, ვიქცევი ისევ ბელტად, ოღონდაც შენ აყვავდი, მამულო უფრო მეტად“!*

*ბატონო ჯანსუღ, ეს არის თქვენი ცხოვრების მრწამსი. გისურვებთ დღეგრძელობას, ჯანმრთელობას და პოეტურ აღმაფრენას.*

## შეცდომის გასწორება

### ახმედ ზაკაევი ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიის ყოფილი კი არა, მოქმედი პრემიერ-მინისტრია



„საქართველოს რესპუბლიკის“ 24-25 სექტემბრის ნომრებში დაბეჭდილ აშშ-ში ჩვენი საკუთარი კორესპონდენტის ია მერკვილაძის ინტერვიუს ბატონ ახმედ ზაკაევთან მითითებული აქვს, რომ რესპონდენტი ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიის ყოფილი პრემიერ-მინისტრია. ეს შეცდომაა, რომელიც რედაქციის მიზეზით იქნა დაშვებული – ბატონი ახმედ ზაკაევი იყო და დღესაც არის ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიის პრემიერ-მინისტრი.

რედაქცია შეცდომისათვის ბოდიშს უხდის ბატონ ახმედ ზაკაევს და ინტერვიუს ავტორს ქალბატონ ია მერკვილაძეს.

მეუღლე ლია ხუციშვილი, შვილები ქეთინო, ვალერი კირცხალიები, დები იზო, იზაბელა, ლუიზა, სიძე გრიგოლ (მერვედ) კუპრავა, სიდედრი მერი ხვედელიანი, ცოლისდა დოდო, ცოლისძმები დავით, ვახტანგ ხუციშვილები ოჯახებით, ბიძა ენვერ კირცხალია ოჯახით, დისშვილები გელა, გოგი, ციცინო, ნინო ჭანტურიები, თეა, კახა კუპრავები, ჩიტო, ზურაბ, ზვიად პერტენავები ოჯახებით, დეიდაშვილები, ბიძაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ვახტანგ ვარლამის ძე კირცხალია**

დაკრძალვა 2 X, 17 სთ. ქალაქ აბაშაში, გამსახურდიას ქუჩა, მე-2 შესახვევი, სახლი №3.

სს ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის ს/კ ინსტიტუტი იუწყება, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის ყოფილი თანამშრომელი ნელი ჯავახიშვილი და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებლები
აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „მაქსიმუმში“. 95-11-92
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.